619
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 12 დეკემბერი 1966 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ენგურის სანაპიროზე.

ფოტო თარხან ტრჩვაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (185) დეკემბერი. 1966 წ.

გამოცემის XVI წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.074



# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის

### საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევს** დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1966 წლის 18 დეკემბერი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# გადახედვა

სერგო კლდიაშვილი

ფოტოები
თ. არჩვაძისა.

წელიწადის მთელ მანძილზე საქართველოში არასოდეს არ არის მზე ისე დამტკბარი და ალერსიანი, როგორც ოქტომბერში. საკვირვლად სუფთა, გამჭვირვალეა ეთერი და დაუსრულებლად ღრმაა ლურჯად გადმოხურული ხავერდოვანი ცა. მთელი მიდამო აჭრელებულია უნაზესი ფერებით. თითქოს ოდნავი დარდი ემჩნევა შეყვითლებულ ხეებს და აღებული ყანების შემდეგ გატიტვლებულ მიწას. რაღაც სიმშვიდე შეაქვს გულში ამ თითქოს დაბრძენებულ ბუნებას. მე არასდროს არ მიგრძვნია ისეთი დიდი სიახლოვე ბუნებასთან, როგორც შემოდგომის ამ თვეში.

ორიოდე დღე დავყავი ჩემს მშობლიურ სოფელში, სიმონეთში და დილიდან დაღამებამდე გაუმაძღარი თვალით გადავყურებდი გარემო მინდვრებს და გორაკებს, იმ საოცარ ფერებს, რომელშიაც ყვირილას ველი და მესხეთის მოსაზღვრე მთები გახვეულან. მაგრამ განა მარტო აქ დაინახება ეს მომხიბლავი სილამაზე! ვინ იცის, ამ წუთში რამდენი ადამიანის თვალი ტკბება ამგვარივე მშვენიერებით ქართლში, კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, მესხეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სვანეთში! ჭეშმარიტად, არაბულ ზღაპრის დაბოლოებად მეჩვენება ჩემი სამშობლო ქვეყანა. უნებურად შეგიპყრობს ხოლმე უნაზესი გრძნობა და, თუნდაც უსიტყვოდ, მთელი გულით გინდა დალოცო ის ხალხი, ვისაც ბედნიერ წილად ხვდა ამ მიწაზე და ამ ცის ქვეშ იცხოვროს.

საღამო ხანია, ეზოში ვზივართ მე და ზედა-სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსიკო სულამანიძე. თითქოს წესად გვაქვს, სოფელში რომ ჩავალ, ყოველთვის მოვინახულებთ ერთმანეთს. ჩვენ ძველი ნაცნობები და მეგობრები ვართ. სოსიკომ იცის, რომ მიყვარს მასთან საუბარი. მგონი, მასაც ასეთივე განწყობილება აქვს და, ალბათ, ამიტომ არის, რომ ჩვენი საუბარი ყოველთვის ძალდაუტანებელი და გულწრფელია. უნდა გამოვტყდე, როგორც მწერალიც, პროფესიულად დაინტერესებული ვარ მოვუსმინო. ზოგჯერ ისეთ ხატოვან სიტყვას ჩაურთავს, იმგვარად მოაჩუქურთმებს ფრაზას, რომ ნამდვილ სიამოვნებას მგვრის. ამასთანავე, გულღიად თქმა იცის და გჯერა, რომ ყველაფერს გულის სიმართლით ამბობს. ყოველთვის, როცა სოსიკო სულამანიძეს ვესაუბრები, წარმომიდგება ჩვენი დროის, ახალი ფორმაციის ადამიანი. ყველა სიკეთე, რაც ბუნებას მიუცია ქართველი კაცისთვის, მასში გამდიდრებულია კიდევ იმ ახალი თვისებებით, რომელიც ჩვენმა დრომ, ჩვენმა სინამდვილემ შესძინა.

სოსიკო ორმოცდაათს გადასცილდა, მაგრამ, ერთი შეხედვით, ბევრად უმცროსი ჩანს. ცხოვრების რთული გზა აქვს გავლილი; მისი ბიოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია. ამ მხრივ მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც კოლმეურნეობას სათავეში უდგას. თუ ვინმე კიდევ არის ისეთი, რომ ფიქრობს, ამ საქმის გაძღოლა არც თუ რთული ამბ ვიათ, მობრძანდეს და დაუკვირდეს, საკუთარი თვალით ნახოს ის თავდაუზოგველი შრომა, რომელსაც გონიერი ხელმძღვანელი ეწევა თავის კოლმეურნეობაში. ყოველი დღე, თვითეული საათი მისი ცხოვრებისა, ეს არის დაუზოგველი დახარჯვა თავისი ენერგიისა, ფიქრისა და ოცნებისა.

სიტყვა „ოცნება“ აქ შემთხვევით არ მიხმარია, ყოველი დიდი საქმის ხორცშესხმას დასაწყისში მუდამ ოცნება უდევს ფუძედ.

— შენ მეუბნები, რომ წელსაც რიგიანი მოსავალი გქონდა და საკმარისად დაარიგებ შრომადღეზე, — ვეუბნები სოსიკოს, — კარგია ეგ, მაგრამ ახალგაზრდობა რომ მაინც არ ჩერდება და გარბის სოფლიდან?

— გარბის, მართალია, გარბის! — ადასტურებს სოსიკო. — და, სამწუხაროდ, ასეა ყველგან. დაამთავრებს თუ არა სკოლას, აღარ ჩერდება სოფელში. რვაკლასიანს მაღაროსკენ და ქარხნისკენ უჭირავს თვალი, ათკლასდამთავრებული კი ამასაც არ კადრულობს, გამოისკვნის ჰალსტუხს და თბილისში ან ქუთაისში მიბუზურობს. ვერავითარი შეგონებით, ვერავითარი დარიგებით ვერ იმოქმედებ მასზე. შენ აპირებ ნამუსზე შეაყენო, ის კი გულში დაგცინის. ისე ადვილად სტოვებს თავის კუთხეს, მშობლიურ გარემოს, თითქოს ტყვეობას დააღწიაო თავი. რა უნდა უქნა ასეთ ყმაწვილს? წასვლას ვერ აუკრძალავ, მით უფრო მაშინ, როცა უმაღლესში სწავლის გაგრძელებას აპირებს. მომავალში რომ მაინც დაბრუნდებოდეს, ამას რა აჯობებს, მაგრამ ტყუილი იმედია! თითქმის არავინაა ისეთი, ვინც თავის კუთხეს დაბრუნებოდეს.

— განა არ შეიძლება სოფლიდან ახალგაზრდობის დინება შემცირდეს მაინც?

— ამაზე ბევრჯერ მიფიქრია და უნდა გითხრა, ამ ბოლო ხანში იმედი მომეცა, რომ მივაღწევ იმას, რაზედაც აქამდე მხოლოდ შორეულად თუ მიოცნებია...

წუთიერად დუმს და მერე უფრო გულდაჯერებულად განაგრძობს:

— როგორა და რა გზითაო? დაუკვირდი, რა გითხრა: დღევანდელი სოფლის ახალგაზრდობას ისეთივე ინტერესები აქვს, როგორიც ქალაქისას. დღეს ჩვენს ბიჭებსა და გოგოებს ცენტრალური გაზეთები თითქმის იმავე დღეს მიუდით, მრავალ მოსახლეს კიდევ შინ რადიო და ტელევიზორი უდგას, ხედავენ და ეცნობიან ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. უყურებენ ყოვე-



ეს ქალიშვილები მუდამ მხარში უდგანან თავმჯდომარეს.



თავმჯდომარის საფიქრალი (ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსიკო სულამანიძე).

ლივე ამას და, ბუნებრივია, სურვილი ეძადებათ თვითონაც ჩაებან იმ დიდ საქმიანობაში. ჰო და, როგორ გინდა ახლა შენ, შემოიტოვო სწავლამიღებული ყმაწვილი, რომელიც ეკრანის საშუალებით ეცნობა ათასგვარ საკვირველებას. მისი ოცნება აფორიაქებულია, ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვის თვალით უცქერის ცხოვრებას და ასე ჰგონია, რომ მოშორდება თუ არა სოფელს, მაშინვე ყველაფერს მიაღწევს...

— მაშ არ არის გამოსავალი?

— არის! — ხელის ენერგიული მოძრაობით ადასტურებს სოსიკო თავის რწმენას.

— ალბათ მატერიალური დაინტერესება არა? — დარწმუნებული ვარ, ამას მეტყვის.

— რა თქმა უნდა, მატერიალური დაინტერესება, მაგრამ... მაგრამ ესეც არ კმარა. არა, არ კმარა!

— აბა კიდევ რა?

— რა და, ახალგაზრდობამ უნდა იგრძნოს და თვალნათლივ დაინახოს, რომ სოფლადაც საინტერესო გახდა ცხოვრება, რომ ის აქაც დიდ შემოქმედებითი მუშაობას ეწევა. აი, მაგალითისათვის, ჩვენს ქალიშვილებზე გიამბობ. წინა წლებში ერთი ან ორი თუ რჩებოდა სოფელში იმათ რიცხვიდან, ვინც ათწლედი დაამთავრა. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე კი რამდენიმე ათეულმა ქალიშვილმა განაცხადა სურვილი დარჩეს სოფლად. ძალა დაატანა ვინმემ? არავითარი! თვითონ ისურვეს... ჯერ კიდევ სკოლაში რომ იყვნენ, ჩაის პლანტაციაში ნაკვეთი გამოვყავით მათთვის. გამოცდილმა ხელმძღვანელმა ნამდვილად მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა საქმე ნაკვეთზე, ჩააბა და აიყოლია გოგონები. საბოლოოდ ისინი ისე დაინტერესდნენ ამ საქმიანობით, რომ დღეს მეურნეობის არა მხოლოდ დაოსტატებული მუშაკები, ნამდვილად მისი გულშემატკივარნი გახდნენ. ალბათ ზოგი მათგანი თავის სპეციალობაში უმაღლესსაც უმიზნებს მომავალში, მაგრამ ვიცი, დაამთავრებს თუ არა უმაღ-



აქედან იწყება ჩემი სიმონეთი.

# მომავლისაკენ

ლესს, აუცილებლად დაბრუნდება სოფელში, თავის საყვარელ საქმეს ვერ მიატოვებს, ის უკვე მის ძვალ-რბილშია გამჯდარი...

— კარგად მოგიაზრებია, — ვეუბნები გასამხნევებლად.

— ჰა, ნახავ აგერ, გაისად ბევრად უფრო გაიზრდება სოფლად დარჩენილთა რიცხვი! — დარწმუნებულია სოსიკო. — ახლა კიდევ აქ გზა უნდა გავიდეს, მოასფალტებული; ტალახი აღარ შეაშინებს ავტობუსებს და ძალიან გაადვილდება ქალაქთან კავშირი. წინათ რომ თითქმის მთელ დღეს ვანდომებდით ქუთაისში და რაიონის ცენტრში ჩასვლას, ამიერიდან ერთ-ორ საათში ჩაიქროლებს და ამოიქროლებს აქაური კაცი. ასეთ პირობებში კი ჩემს სიმონეთში ცხოვრებაზე უგუნურის მეტი არავინ იტყვის უარს. ასეა, ხომ?

ბინდდება. ორღობეში მივაცილებ სოსიკოს, ქვითა და აგურით აშენებულ სახლებიდან, რომელთა შორის ბევრი ორსართულიანია, ელნათურები ანათებს. ერთ მოსახლის ჭიშკართან სოსიკომ შემაჩერა და ეზოში გაზრდილ უზარმაზარ ხეზე მიმითითა:

— ხედავ იმას?

ის ხე ძელქვაა. ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდან მახსოვს, ასეთივე მაღალი და ტოტებგანიერი იყო.

— მოჭრიდი შენ იმ ხეს? — მეკითხება სოსიკო.

ვერ გავიგე, რატომ მკითხა. გაკვირვებით მივაჩერდი.

— მისმა პატრონმა მიჩივლა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩემს ეზოში ხის მოჭრა ამიკრძალაო. ჯერ რაიონში მიჩივლა, მერე თბილისში და როცა აქაც არაფერი გაუვიდა, მოსკოვში გაგზავნა განცხადება. მართალია, ავუკრძალე. ჯერ ერთი, კანონით აკრძალულია ძელქვის მოჭრა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, სულ უკანასკნელი, ორი საუკუნის განმავლობაში, თუ მეტი არა, ამშვენებს უბანს და ახლა მოვუსპო სიცოცხლე? რატომ, რისთვის? ვითომ რაო, ეს ცხოვრება ჩვენით თავდება, თუ როგორაა? ეზოს მოხუცი პატრონის შემდეგ მომავალმა თაობებმა შეავლონ თვალი ბუნების ამ მადლს. ხომ გაახარებთ მისი დანახვა? ჩვენს შემდგომაც რომ თვალს შეავლებენ ჩვენი შვილთაშვილები, იმათ აწყენთ თუ? როგორი გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს სილამაზე გაიმეტო! სანამ ცოცხალი ვარ, ნაჯახს არავის მივაკარებინებ. მიჩივლოს მისმა პატრონმა სადაც უნდა!

ერთხანს კიდევ მიამბობდა სოფელზე. შინ რომ ვბრუნდებოდი, თანამგზავრად სიამოვნების გრძნობა მომყვებოდა. რა იყო, რა იწვევდა ამ გრძნობას? ის ხომ არა, რომ ცხოვრების, სიცოცხლის ასეთ მოყვარულ ადამიანთან ორიოდე საათი გავატარე? ალბათ ეს იყო. მერმე კიდევ ალბათ ისიც, რომ მისგან გაგონილმა კეთილი და იმედიანი თვალით გადამახედვინა მომავლისაკენ.



შინისაკენ



# ლექსები

გაბრიელ ჯაბუშანური

## [illegible]

მე ქუთუთოებს ვსალტავ თითებით, —
რომ არ დამისკდეს თვალთა ქვევრები...
დიდი ხარ! —
ღმერთსამც ნუ ედიდები,
ბევრი ხარ! —
ღმერთსამც ნუ ებევრები!

ამდენი სხივი სად შევინახო? —
დიდმა ნათელმა დაბინდა მზერა.
ჰაუ, რამდენი ბაგე მარხულობს,
რამდენი ფიქრი და ბედისწერა...

მე ქუთუთოებს ვსალტავ ცერებით, —
რომ არ დამისკდეს თვალთა კაკლები...
დიდი ხარ! —
მტერსამც ნუ ემცირები,
დიდი ხარ!
მტერსამც ნუ ენაკლები!

ქალებს რა ვუთხრა მიჯნურ ბიჭებზე,
ვაჟებს რა ვამცნო სატრფო ქალებზე?
ფერით ვეფერო ვაკის სიჭრელეს,
თუ ვიბურთაო საბურთალოზე?

დამციმციმებენ სხივთა ტევრები,
ვით ჯიხვთა მზერა დანაფეთები...
ბევრი ხარ! —
ღმერთსამც ნუ ებევრები!
მეტი ხარ! —
ღმერთსამც ნუ ემეტები!

## [illegible]

თოვლს ჩანჩქერი ხვრეპს,
ხრამი ხვრეპს ჩანჩქერს,
ქედის იქიდან ნისლები ყელავს,
მდინარეებმა ერთურთი შთანთქეს
და თითო-თითოდ ზღვამ შთანთქა ყველა.

ხევი თუ ბარის კუპრში დაქანდა,
მთა მთვარეს ელტვის აწვეტებული,
ტყე შავი მელნის ქუფრი ლაქაა
სერის კისერზე დაწვეთებული.

ცის ნაფლეთები ვარსკვლავთა ჯოგით
აქა-იქ, დაბლა, იტაცებს მზერას, —
მათ ქალაქებად ამბობენ ზოგნი,
მაგრამ მე რაღაც ეს არა მჯერა...

## [illegible]

იქ ხომ ხვნით არავინა ჰხნავს,
არც ვინ რას სთესავს თესითა.
**ვაჟა.**

მეც ყანა დასახნავი მაქვს
და ა, იმ ნისლსაც აგრეთვე.
დავდივართ, დავსეხნიავდით
და საქმეს აღარ ვაკეთებთ.

ჩვენ წაწალნი ვართ ამა მთის,
ლიხს ცრემლით ვალტობთ მკვნესარნი;
ჩემს ცრემლზე ია ამოდის
და ნისლის ცრემლზე კესანე.

ვუფრთხით ორწოხთა ხლართებსა,
გუთანს შევუდგით კონკილა.
ამ მაღალ მთაზე ხვნა-თესვა
საჭიროც არა ყოფილა.

# „მოსკოვთან უნდა დაიწყოს..."



კიგა ქავთარაძე

ეს იყო ზუსტად მეოთხედი საუკუნის წინ: მთელ ჩვენს სამშობლოს, მთელ მსოფლიოს მოედო სასიხარულო ცნობა, რომ მოსკოვის მისადგომებთან საბჭოთა არმიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ჰიტლერულ ურდოებს და თვითონ გადავიდა შეტევაზე.

ეს იყო დაუვიწყარი, მარადსახსოვარი დღეები.

„მოსკოვთან უნდა დაიწყოს მტრის განადგურება!" — ასეთი სათაური ჰქონდა 1941 წლის 27 ნოემბრის „პრავდის" მოწინავე წერილს. მასში აღნიშნული იყო: „წითელი არმიის ნაწილების მამაცურმა წინააღმდეგობამ შეაჩერა ფაშისტური ურდოების წინსვლა. ისინი იძულებული გახდნენ შეენელებინათ ნაბიჯი. ისინი აღარ მოჰქრიან წინ, როგორც ადრე, არამედ მოღოღავენ, და ყოველი ნაბიჯი დიდძალი სისხლის ფასად უჯდებათ. მაგრამ ისინი მაინც მოღოღავენ. მაშასადამე, უნდა გავაათკეცოთ მოსკოვის დამცველთა სიმტკიცე!

რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ჩავშალოთ ჰიტლერის ყაჩაღური გეგმა... ამას მოელის მთელი ჩვენი ქვეყანა...

მოსკოვთან უნდა დაიწყოს მტრის განადგურება!"

და მართლაც, ეს ისტორიული საქმე, დიდი ისტორიული გამარჯვება ჩვენი სამშობლოსი, დაიწყო მოსკოვის მისადგომებთან.

1941 წლის სექტემბრის ბოლოს ჰიტლერელებმა მოსკოვის მიმართულებით დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი. აქ შეტევაზე მოდიოდა 78 დივიზია; ამ პერიოდში როგორც ცოცხალი ძალის, აგრეთვე სამხედრო საჭურველის რაოდენობის მხრივ, ჰიტლერელთა ჯარებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. სწორედ ამ უპირატესობის წყალობით მოახერხეს ჰიტლერელებმა შემოჭრილიყვნენ მოსკოვის ოლქის ფარგლებში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ წამოაყენეს ამოცანა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაგვეცვა ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა, შეგვეჩერებინა მტერი მოსკოვის მისადგომებზე, გაგვენადგურებინა ფაშისტური არმიის დამკვრელი ძალები და ყოველმხრივ დავხმარებოდით საბჭოთა არმიის იმ ნაწილებს, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა. ფაბრიკებსა და ქარხნებში გაჩაღდა უმაგალითო შრომა. მზადდებოდა სულ უფრო და უფრო მეტი სამხედრო პროდუქცია, საბჭოთა არმიას ეგზავნებოდა სულ უფრო და უფრო მეტი სურსათი, ემატებოდა ახალი პოლკები და დივიზიები. ამ მძიმე განსაცდელის დღეებში მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 100 ათასზე მეტი კომუნისტი და 260 ათასი კომკავშირელი წავიდა ფრონტზე; ამას გარდა, მტერთან საბრძოლველად წავიდა 120 ათასი მოსკოველი სახალხო მოლაშქრე. ნახევარ მილიონზე მეტი მოსკოველი აშენებდა თავდაცვით ნაგებობებს დედაქალაქის მისადგომებზე.

გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვის მისადგომებზე საბჭოთა ჯარების უმაგალითო წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ოქტომბრის დამლევს მტრის მთავარი ძალები შეჩერებული იქნენ იმ ზღუდეებზე, რომლებსაც მათ ამ დროისათვის მიაღწიეს.

და მაინც, ჰიტლერელები არ ჰკარგავდნენ მოსკოვის აღების იმედს. ნოემბრის მეორე ნახევარში გერმანელებმა კვლავ განაახლეს შეტევა მოსკოვის მიმართულებით. ბრძოლაში ჩაება გერმანელთა 51 დივიზია, მათ შორის 20 სატანკო და მოტორიზებული დივიზია. ამჯერად გერმანელები შეეცადნენ გაერღვიათ საბჭოთა არმიის ფრონტი ვოლოკოლამსკისა და ტულის რაიონებში. დაიწყო გააფთრებული ბრძოლები.

საბჭოთა არმიის ნაწილები თავგანწირვით იბრძოდნენ მოსკოვის დასაცავად. ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის დაცვა უბრწყინვალესი ფურცელია ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. მებრძოლები თავიანთ სიცოცხლესა სწირავდნენ, ოღონდ მტრის ჭარბი ძალების შემოტევა შეეჩერებინათ.

საბჭოთა არმიის ამ შეუპოვრობამ სისხლისაგან დასცალა და წელში გასწყვიტა მტრის ჯარები.

1941 წლის ნოემბრის დამლევს და დეკემბრის დასაწყისში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს დონის როსტოვი. ამავე ხანებში ლიკვიდირებული იქნა მოწინააღმდეგის ტიხვინის დაჯგუფება, რომელიც ისწრაფოდა შეერთებოდა ფინეთის ჯარებს და უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა ლენინგრადს. ამ გამარჯვებებმა საგრძნობლად განამტკიცეს საბჭოთა ჯარების ფლანგები და მოწინააღმდეგეს წაართვეს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი ძალების ნაწილი მოსკოვის მიმართულებით გადაეყვანა.

1941 წლის 16 ნოემბრიდან 6 დე-

# ორფეოსი ქართული სიტყვისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

რვაასი წლის განმავლობაში ჩრდილში იდგა პოეტთა შორის უპირველესი და ბრძენთა შორის უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი.

არც ერთ სახლს არ ამშვენებს მსოფლიოში მემორიული დაფა მისი სახელისა. არც ერთი აკადემიის წევრად იგი არჩეული არა ყოფილა, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში მისი ხმა დვრინავდა როგორც ლომის ბრდღვინვა და იგი იყო ქართული კულტურის ფუძემდებელი, ახალი კულტურის მესვეური და განმაახლებელი ქართული ენისა.

ორი მხარე აქვს რუსთაველის პოეზიას. ერთი, ეს არის ფორმა. და მე უნდა მოგახსენოთ, — ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოთქმის ფორმას. იგი იყო უდიდესი ოსტატი ფორმისა. შუა საუკუნეების ბნელეთში, როდესაც ორი ენა ბატონობდა ქრისტიანულ აღმოსავლეთში — ბერძნული და ლათინური, და ეს ენები ჰეგზამეტრით მუშაობდნენ, მთელს პოეზიაში ჰეგზამეტრი იყო გაბატონებული, რუსთაველმა, ასი წლით ადრე დანტეზე, ბოლორითმოვანი ლექსი შემოიღო. ეს ლექსი გადავიდა ხალხურში და ზოგან არცა სჩანს კვალი სად არის ხალხური და სად რუსთველური.

რუსთაველი ფორმის ჯადოქარი იყო. მე მიმაჩნია სიმართლედ დიდი გოეტეს თავმდაბლურად თქმული — თითქოს იგი აღმოსავლეთის დიდი პოეტების მოწაფედ არ გამოდგებოდა.

დიდია ნიზამი განჯელი, დიდია „შაჰნამეს“ ავტორი, მაგრამ მათ ერთი ნაკლი ჰქონდათ, რომ ისინი ნამეტანი გაზვიადებული და დაბურდული სიუჟეტის მფლობელნი იყვნენ, ხოლო რუსთაველმა გამოკვეთა შესანიშნავი ფორმა, რომელიც პარალელურია რომანისა.

თქვენ მოგეხსენებათ, რომანი მე-12-13 საუკუნეებში ირანსა და საფრანგეთში ლექსად იწერებოდა. ლექსად არის დაწერილი უბრწყინვალესი რომანი „ვისო და რამინი“; ასე რომ, რუსთაველი იყო პირველი ქართველი რომანისტი. ჩვენი პოეტები აჰარბებენ, როცა ამბობენ — რუსთაველი იყო მამამთავარი მარტოოდენ ქართული პოეზიისა და ქართული ლექსისა. ბოლორითმოვანი ლექსი მიიღო ევროპამ არაბული ლექსის გავლენით. იგი იხმარა ჯერ რუსთაველმა და შემდეგ დანტემ და რენესანსის სხვა პოეტებმა.

მე ვახსენე რენესანსი. ეს ევროპაში წმინდა იტალიური მოვლენაა, ხოლო აღმოსავლეთში იყო საქართველოსა და სომხეთის დიდი არქიტექტურა, დიდებული რენესანსული ფერწერა. ყინწვისის ანგელოზი და გელათის მოზაიკა მე მიმაჩნია უდიდეს მიღწევად მსოფლიო ხელოვნებისა.

აქ ილაპარაკა ჩვენმა სახელოვანმა აკადემიკოსმა და მეცნიერმა გ. ჩუბინაშვილმა და აღნიშნა ის შესანიშნავი, უბრწყინვალესი ძეგლები, რომლებითაც შემკულია საქართველოს ველ-მინდვრები. ბევრი რამ დაგვეღუპა, მაგრამ რაც დარჩა, იმითაც იამაყებდა ბევრი მრავალრიცხოვანი ერი დღესაც.

რომანის პრობლემა, ეს დიდი პრობლემაა და ეს რომანიული ამბები რუსთაველმა ისეთ ფორმაში მოგვცა, რომ საუკუნეების განმავლობაში ამ პოემას ზეპირად ამბობდა ხალხი. როგორც მწერლები, ისე მთელი ჩვენი ხალხი, მოხუცი ქალები ზეპირად სწავლობდნენ და სწავლობენ კიდეც ამ უკვდავ პოემას.

ახლა არის საკითხი მსოფლმხედველობისა. თუ ფილოლოგი შესაძლოა გენიოსი იყოს, ნიკო მარი გენიოსი იყო და გენიოსთა შორის პირველი, მაგრამ ნ. მარმა გააბუნდოვანა ეს საკითხი, გამოაცხადა რა შოთა ნეოპლატონიკოსთა ნოწაფედ. სხვათა შორის, გოეტე პროტესტს აცხადებდა, როცა მას ეუბნებოდნენ სპინოზისტი ხარო. მე სპინოზასაც ვიცნობ, კანტსაც ვიცნობ, მაგრამ არავის მოწაფე არა ვარო. არც შეიძლება გენიოსი ვინმეს მოწაფე იყოს. ასევე იყო რუსთაველი.

რუსთაველის შემდგომი დამსახურება ისაა, რომ ქართული ენა მან განავითარა და მისცა ახალი მიმართულება.

რუსთაველის რომანი პირველი რომანია ქართულად, რა თქმა უნდა, ცურტაველის ნაწარმოების შემდეგ. აქ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე გიორგი მერჩულე, რომელიც არის დიდი პაპა ქართული პროზისა.

რუსთაველი იყო, არის და იქნება უდიდესი ორფეოსი ქართული სიტყვისა. რუსთაველმა ამ საუკუნეში, ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების წყალობით, მოიპოვა დიდი სახელი მსოფლიოში. მარტო მისი პოემის გამოცემები, სხვა და სხვა ენებზე, რომლებითაც ამაყობს დღეს ქართველი ხალხი, დაამშვენებს უდიდეს და ყველაზე მრავალრიცხოვან ერს.

დიდება რუსთაველს! გაუმარჯოს რუსთაველს! — და აკაკის სიტყვებით დავამთავრებ:

„სულმნათო მადლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს მშობელს!“

 აი ეს იყო რუსთაველი.

(ტაში).

---

* სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

კემბრამდე, ოცი დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა მოსკოვის მისადგომებთან დაკარგეს 55 ათასი ჯარისკაცი მოკლულთა სახით, ასი ათასზე მეტი დაჭრილთა სახით, 777 ტანკი, აუარებელი ქვემეხები და ნაღმტყორცნები, ტყვიამფრქვევები და ავტომატები. ხოლო 6 დეკემბერს დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მოსკოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით. კალინინისა და ელეცის რაიონებში შეტევა დაიწყეს მეზობელმა ფრონტებმა. შეტევითი ბრძოლები გაჩაღდა 800 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ფრონტზე.

სახმელეთო ნაწილების მოქმედებას ხელს უწყობდა ფრონტის ავიაცია. მოიერიშე თვითმფრინავები საგრძნობ დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგის არტილერიის პოზიციებს, სატანკო ნაწილებს, ანადგურებდნენ ავტოსატრანსპორტო კოლონებს. მტრის მიერ დატოვებული პოზიციები მოფენილი იყო დამსხვრეული ავტომანქანებით და სხვადასხვა სახის საბრძოლო ტექნიკით.

ჰიტლერელთა კომუნიკაციებს განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ჩვენი პარტიზანული რაზმები, რომლებიც აფეთქებდნენ საომარი მასალის საწყობებს, ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალებს.

მტერი ვეღარ უძლებდა საბჭოთა ჯარების მძლავრ კონტრშეტევებს და ზედიზედ სტოვებდა დაკავებულ პოზიციებს. 30 დეკემბერს მტერი განდევნილი იქნა კალუგიდან. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ელეცი და განავითარეს შეტევა ორიოლის მიმართულებით. კალინინის ფრონტის ჯარებმა მთლიანად გაანთავისუფლეს კალინინი და დაიწყეს შეტევა რჟევის მიმართულებით.

ამრიგად, მტრის ძალების წინააღმდეგ აქტიური თავდაცვითი ბრძოლების წარმოება, კონტრშეტევაზე სწრაფი გადასვლა და მოწინააღმდეგის სასტიკი დამარცხება წარმოადგენდა საბჭოთა სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე მაგალითს. ეს იყო გენერალური შტაბისა და უმაღლესი მთავარსარდლობის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგი.

მოსკოვთან დამარცხების შემდეგ ჰიტლერელები იძულებული გახდნენ გადასულიყვნენ თავდაცვაზე.

მოსკოვთან გამარჯვებით საბჭოთა არმიამ მტერს გამოგლიჯა სტრატეგიული ინიციატივა, საბოლოოდ დაასამარა „ელვისებური ომის“ ჰიტლერული გეგმა და აიძულა მტერი ეწარმოებინა ხანგრძლივი ომი.

ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო აამაღლა ჩვენი არმიის საბრძოლო სულისკვეთება და მთელ საბჭოთა ხალხს ჩაუნერგა მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენა.

მოსკოვისათვის წარმოებულ ბრძოლებში საბჭოთა არმიის მეომრებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს თავგანწირვისა და გმირობის ბრწყინვალე მაგალითები. მათ პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალი დედა-სამშობლოს წინაშე. არასოდეს არ წაიშლება ხალხის ხსოვნაში იმ გმირთა სახელები, რომლებიც დაეცნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.



ოთარ დემეტრაშვილი

ფოტო ოთარ მუჩაიძე

# როცა ადამიანს უჭირს



ავადმყოფმა თვალი გაახილა.

შემოდგომის თბილი საღამოა. წვიმამ ეს-ეს არის გადაიღო. დაცარიელებული პროსპექტი თანდათან ივსება ხალხით. ლამპიონების შუქით აციმციმებულ ჯერ კიდევ სველ ასფალტზე შხუილით დაქრიან ავტომანქანები.

ახლად გაშენებულ სკვერთან, — იქ სადაც ვაჟა-ფშაველას პროსპექტი პეკინის ქუჩას უერთდება, — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მიაბიჯებენ.

აუარებელი საქმეები ჰქონდა დღეს 26-ე პოლიკლინიკის ნევროპათოლოგს სერგო ცომაიას. მაინც გამონახა თავისუფალი დრო და ოპერის თეატრში ორი ბილეთი აიღო.

ისინი ახლა თეატრისაკენ მიეშურებიან.

საუბარში გართულმა ცოლ-ქმარმა სწრაფად გაიარეს პროსპექტი და მოედანზე გავიდნენ. ის-ის იყო ავტობუსში აპირებდნენ ასვლას, რომ ქუჩაში მოულოდნელად კივილის ხმა გაისმა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. მხოლოდ რამდენიმე გამვლელმა მოასწრო დაენახა ათიოდე წლის გოგონა, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს გადარბოდა. ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ ბავშვს ჯერ გზის ნახევარი არცა ჰქონდა გავლილი, რომ მოულოდნელად, პავლოვის ქუჩის მოსახვევიდან საყვირის გუგუნით გამოვარდნილმა მანქანამ გადაუჭრა გზა.

გოგონა შედგა. დამფრთხალი თვალები შიშით შეაცეცა მანქანას; იმის ნაცვლად, რომ ნაბიჯი გადაედგა წინ და სამშვიდობოს გასულიყო, დაბნეულმა უკან იხკუპა და გაქანებული „ვოლგის" ბორბლებშუა ჩაიკეცა.

სერგო მაშინვე ადგილიდან მოწყდა. მანქანასთან მიიჭრა და გულაღმა დამხობილ ბავშვს დასწვდა.

შემთხვევის ადგილას აუარებელი ხალხი მოგროვდა.

— ექიმია საჭირო, ექიმი! — დაიძახა ვიღაცამ.

— აგერ, ამ შენობის გვერდით, სასწრაფო დახმარების პუნქტია, გაიქეცი ბიჭუნი და ექიმი მოიყვანე! — მიმართა ვიღაცამ იქვე მდგომ ბიჭს.

მუხლებზე დამხობილი ექიმი ყურადღებით სინჯავდა გოგონას. ბოლოს წამოდგა. ასფალტზე მოსვრილ შარვლის მუხლისთავებზე სწრაფად ჩამოისვა ხელი და მეუღლეს უთხრა:

— არიადნა, ბავშვს ტვინის შერყევა აქვს. დაუყოვნებლივ უნდა მივიყვანოთ შინ... დავარიგებ მშობლებს როგორ მოუარონ პატარას...

არიადნამ თანხმობის ნიშნად ქმარს თავი დაუქნია.

ორიოდე წუთის შემდეგ ტაქსი დიღმის მასივისაკენ მიქროდა. ექიმ სერგო ცომაიას მხარზე მისვენებული გოგონა ბორგავდა, მალი-მალ ისვამდა ხელს მტკივან თავზე.

ოპერის ბილეთები? თეატრი ვილას ახსოვდა, ადამიანის ჯანმრთელობა და იქნებ სიცოცხლეც საფრთხეში იყო.

* * *

კაბინეტში დაფეთებული კაცი შემოიჭრა.

— მიშველეთ, ექიმო!... თქვენ მაინც ნუ მეტყვით უარს!

სერგომ ყურადღებით ახედა მის წინ გაჩერებულ კაცს:

— დაწყნარდით, გამაგებინეთ რა მოხდა?

ახლად მოსულმა აღელვებული ხმით დაიწყო:

— დღეს დილით, სამსახურში რომ ვაპირებდი წასვლას, ჩემს ცოლს გულის შეტევა დაეწყო. მაშინვე გამოვუძახე სასწრაფო დახმარებას. ექიმმა ავადმყოფს მკლავში რაღაც წამალი შეუშხაპუნა, მერე დაგვამშვიდა, ნურაფრის შიში ნუ გექნებათო, და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ქეთომ მოკეთების ნაცვლად, უფრო ცუდად იგრძნო თავი. აბორგდა. საწოლში წამომჯდარმა ჯერ რაღაც უაზრო სიტყვების ძახილი დაიწყო, მერე აცახცახდა, პერანგი შემოიხია ტანზე და ისტერიული სიცილი აუვარდა.

მეტი რა გზა მქონდა, ხელმეორედ უნდა გამომეძახა სასწრაფო დახმარება, შეშფოთებულმა ექიმმა ერთხელ კიდევ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი. მაჯაც, წნევაც ნორმალური იყო. ექიმმა მითხრა, რომ ავადმყოფის ასეთ ფსიქიურ აშლილობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა გულის შეტევასთან. ქეთოს რაღაც სხვა უბედურება სჭირდა, ექიმმა მირჩია, სასწრაფოდ ნევროპათოლოგი მომეყვანა.

მეც მაშინვე პავლოვის ქუჩის გადასახვევთან მდებარე პოლიკლინიკაში გავიქეცი. იქაურ ექიმს დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი, იმ დალოცვილმა გადააქნ-გადმოაქნია თავი და ბოლოს მითხრა: ეგ ავადმყოფი ჩვენი უბნის პოლიკლინიკას არ ეკუთვნის და თქვენი უბნის ექიმს მიმართეთო.

ჩვენი უბნის ექიმი, როგორც გავიგე, დღეს თურმე საღამოს ცვლაში გამოდის სამუშაოდ. ისე რომ ახლა თქვენი იმედით-ღა ვარ.

სერგო ცომაიას იმ დღის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოუხდა ზემოხსენებულ ავადმყოფთან სამკურნალოდ მისვლა.

როგორც გამოირკვა, სასწრაფო დახმარებიდან გამოძახებულ ექიმს ავადმყოფისათვის მკლავში ორი წამლის ნაზავი შეეშხაპუნებინა. ეს ნაზავი, მართალია, დამამშვიდებლად მოქმედებს გულზე, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ორგანიზმის ინტოქსიკაციასაც იწვევს. ავადმყოფი იძაბება, ღელავს, ცნობიერება ებინდება; გამოუცდელმა ექიმმა შეიძლება იფიქროს, რომ სერიოზულ ფსიქიურ აშლილობასთან აქვს საქმე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— საშიში აღარაფერია. თქვენ უკვე სავსებით კარგად ხართ.
(ექიმები ვალიკო ცნობილაძე და ირაკლი ახვლედიანი)

სერგო ცომაიამ მაშინვე მიიღო ინტოქსიკაციის საწინააღმდეგო ზომები. შემდგომშიც, როგორც კი თავისუფალ დროს დაიგულებდა (თავის უბანშიც ხომ ჰყავდა პაციენტები), ქეთოსაკენ მიეშურებოდა. სანამ ფეხზე არ წამოაყენა, თავი არ მიანება.

იმ დღეს, როცა პოლიკლინიკის მუშაობას ვეცნობოდი, ექიმის კაბინეტში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა და მიხაკების თაიგული მიართვა ექიმს.

არ ვიცნობდი, მაგრამ რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ქეთო იყო.

სულ მალე დავრწმუნდი, რომ გუმანმა არ მიმტყუნა.

* * *

ასე მუშაობენ თბილისის 26-ე პოლიკლინიკის ექიმები.

ამ პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ირაკლი ახვლედიანი სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი იყო, როცა ფრონტზე მოხვდა.

აქ გაიარა მან დიდი სკოლა იმ ყველაზე კეთილშობილური პროფესიის დაუფლების გზაზე, რომლის მიზანი ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ბრძოლაა.

ამ წერილის დასაწყისში ჩვენ მკითხველებს მხოლოდ სერგო ცომაიას საექიმო პრაქტიკიდან მოვუყევით ორი ამბავი, მაგრამ ასეთი შემთხვევები ამ პოლიკლინიკაში რამდენიც გინდათ, იმდენი შეიძლება ნახოთ! რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ვალიკო ცნობილაძე, ფიზიოთერაპევტი ქსენია ბაქრაძე, სტომატოლოგი ნადია კევარაშვილი, ქირურგი შალვა გიორქოვი, თერაპევტი ოლგა კუტალაძე და სხვები, მუდამ მზად არიან თავიანთი ცოდნა, ენერგია, დრო შესწირონ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას. თვითეულ მათგანზე შეიძლება ამაღელვებელი ნარკვევი დაიწეროს.

ამ პოლიკლინიკაში ყოველდღიურად 350-400 ავადმყოფს მკურნალობენ, ასრულებენ რთულ სამედიცინო პროცედურებს, მიდიან ბინებში გამოძახებაზე, წერილობით პასუხებს უგზავნიან რაიონებიდან შემოსულ შეკითხვებზე, კონსულტაციას უწევენ პოლიკლინიკაში რჩევის საკითხავად მოსულ მოქალაქეებს.

ძალიან დიდი და საპატიოა ის საგუშაგო, რომელზეც ეს ადამიანები დგანან. მათ ოცდაოთხი ათასი ადამიანის ჯანმრთელობა აბარიათ.

როცა ადამიანს უჭირს, როცა ის განსაცდელშია, მაშინვე ეს ექიმები გაახსენდება ხოლმე და ისინიც მუდამ მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რათა ადამიანი გადაარჩინონ.



— ეს ბოლო პროცედურაა (ფიზიოთერაპევტი ქსენია ბაქრაძე).



ჯერ კიდევ ვერ გამოვერკვიე... საღამოთიც ვნახავ. (ექიმი სერგო ცომაია).

ეროვნული ბიბლიოთეკა




## კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ზ უ რ ი ა. მე არ გეხუმრები!..

ა რ ჩ ი ლ ი. თუ ძმა ხარ, ხმას ნუ აუწევ! ყვირილი მეც ვიცი!

ზ უ რ ი ა. ქალი უსინდისოდ მოატყუე... მერე ცილი დასწამე და სახლიდან გააგდე!

ა რ ჩ ი ლ ი. ჩემი პირადი საქმე შენ რაში გეხება, ამხანაგო კობაიძე! მე ვიცი და ნინომ!

ზ უ რ ი ა. მასწავლებელი ქალია, სახელს ნუ გაუტეხ! მერე ბავშვებს როგორღა ასწავლოს... რა თვალებით შეხედოს?!

ა რ ჩ ი ლ ი. სათქმელი მეც ბევრი მაქვს, ჩემო კარგო.

ზ უ რ ი ა. გამიგონე, ყანჩაშვილო! იმ ქალის ცოდვაში ნუ ჩადგები. ცოლად უნდა შეირთო... სხვა გზა არა გაქვს!

ა რ ჩ ი ლ ი. შენ ვის ემუქრები, ბიჭო! მე შენ გიჩვენებ სეირს!
(ტელეფონის მილს ხელი დაავლო)

ზ უ რ ი ა. მაგას ხელი გაუშვი... (ერთბაშად მიტრიალდა, კარებში გასაღები გადააბრუნა) ხელი გაუშვი!

არჩილმა ღრმად ამოიოხრა და მილი ორკაპზე ნელ-ნელა დაუშვა.

ზ უ რ ი ა. ასე სჯობია...

ა რ ჩ ი ლ ი. მაჭანკალიც ასეთი უნდა!

ზ უ რ ი ა. შენი ბედი, ყანჩაშვილო, რომ ნინოს უყვარხარ, თორემ ნახავდი, რანაირი მაჭანკალიც ვიქნებოდი... ახლა კი ნახვამდის!

წავიდა... არჩილი კი ტახტზე დაეშვა, ერთხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა იატაკს, მერე სწრაფად წამოდგა, კიტელი შეიბნია, თმა გადაივარცხნა, თითქოს წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ბოლო წუთში გადაიფიქრა. პაპიროსს მოუკიდა, სინათლე ჩააქრო და ტახტზე წამოწვა. ასეთი გაუბედავი და შეყოყმანებული არჩილ ყანჩაშვილი ჯერ არავის უნახავს.

სიბნელეში ჭიშკარმა გაიჭრიალა, მაშინვე ცხენის ჩუმი ხვიხვინი მოისმა. ზურიამ ნადირას კისერზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— ეჰ, ჩემო ნადირა, მე და შენ ბედი არა გვქონია, კარგი დიასახლისი დავკარგეთ!

ცხენზე არ შეჯდა, ფეხით გაჰყვა ჩაბნელებულ ქუჩას. კაკლების ხეივანს რომ ჩაუარა, ზემოურების დუქნიდან სიმღერა და გარმონის ხმა გამოიჭრა.

„ჩემს სიცოცხლეში ღვინის დასალევად დუქანში მარტო არ შევსულვარ, ახლა უნდა შევიდე!" — გაიფიქრა ზურიამ: — „შენ აქ მომიცადე", — უთხრა ცხენს და დუქნის კარი შეაღო.

ქეიფობენ შოფრები. შაქრო ხარაბაძე გარმონზე უკრავს, თუმცა ზედვე ეტყობა, მთლად მხიარულ გუნებაზე ვერ არის, დაღვრემილი იყურება. შეიძლება, ეგ იმისი ბრალია, რომ ჯერ ღვინო არ მოჰკიდებია.

ერთი ახალგაზრდა ბიჭი ლამაზად მღერის:

გარეთ მზეა,
ჩემს გულში კი ნისლია,
ვერ გავიგე, გენაცვალე,
ვისი ხარ!
თუ ჩემი ხარ!
ეგ ბეჭედი ვისია!
თუ სხვისი ხარ,
გულში რატომ მიზიხარ!
რა ხანია
არ მსმენია შენი ხმა,
ისე წახველ,
ვერ გითხარი სათქმელი!
მაინც ვამბობ,
გენაცვალე, ჩემი ხარ,
წინ მინთიხარ,
როგორც წმინდა სანთელი...

ზურია დახლთან მივიდა. „დამისხი ერთი ჭიქა!" — უთხრა მედუქნეს, ტიხარს მოეფარა და მთელი ბოთლი ისე გამოსცალა, ლუკმა არაფერი დაუყოლებია. ერთ-ორ ჭიქას კიდევ დალევდა, მაგრამ ცოტა ეთაკილა, ამ კაცს ხელიდან წასული ლოთი ვეგონებიო. ფული გადაიხადა, ტიხარიდან გამოვიდა.

— ზურია! — წამოვარდა შაქრო, გარმონი გვერდზე გადასდო და ზურიას წინ გადაუდგა: — მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიე!

ზ უ რ ი ა. მეჩქარება, შაქრო, ბრიგადას უნდა დავეწიო. ვერ არის ჩვენი საქმე კარგად. არც წერილზე გვიპასუხეს, არც საკვები დაგვახვედრეს, გავგიჟდი კაცი! (დუქნიდან გავიდა).

შაქრომ თვალი გააყოლა ხეივანში მიმავალ კობაიძეს.

„ეს რა ცეცხლში ჩამაგდე, ბატონო არჩილ!" — გაიფიქრა მან, თვალწინ დაუდგა ის დასაქცევი დღე ჩიტაძის ქუჩაზე, როდესაც მორიგის სარკმელთან ყასიდად მიტრიალ-მოტრიალდა, მერე მწყემსების წერილი უბეში ჩაიდო და უკანვე გამობრუნდა.

გაგრძელება. იხ. „დროშა" № 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

ახლა ამას რა ეშველება?!

ალარაფერი.

პირზე ბოქლომი უნდა დაიდო და გაჩუმდე... სვი ეს ღვინო და არაყი, სადაც წაეწევი, იქნებ სინდისის ქეჯნამ აღარ შეგაწუხოს!

მაყვალა კი თავის ჭკუაზე აღარ არის! ვერა და ვერ გაუგია, ამ კაცს რა დაემართა. რძეს აღარ ეკარება, ლოთობს... ამას წინათ შოფრის წიგნაკი ჩამოართვეს, არჩილმა უშველა, ღმერთი იმას უშველის, თორემ ცუდად იქნებოდა მისი საქმე. პირში ენას ვერ აბრუნებდა, თურმე ისეთი მთვრალი უჯდა საჭეს! ბატონი არჩილი რომ არა გვყავდეს შემწედ და მფარველად, ღმერთმანი არ ვიცი, რა გვეშველებოდა!

თუმცა შაქრო სიმთვრალეში რაღაც-რაღაცეებს კი ყბედობს, „შენ არ იცი, ჩემო მაყვალა, ბატონი არჩილის კაი-კაცობა მე რა მამასისხლად მიღირსო!" ვითომ რა უნდა ამით სთქვას?! მართალია, შაქრო ბევრს მუშაობს, ხანდახან შუაღამისას საწოლიდან წამოაგდებენ და გზას გაუყენებენ... ერთი კვირა დღე ჰქონდა დასასვენებლად და ისიც ამ ზაფხულს გზაში გაატარა. ყოველ შაბათკვირას ბატონი არჩილი თბილისში მიემგზავრებოდა. ახლა კიდევ ცხვრის გადარეკვა დაიწყო და შაქროს ვინღა მოასვენებს. სამაგიეროდ, გახედე აგერ იმ ფერდობზე კრამიტით გადახურულ სახლს. ბროწეულის ყვავილი ხომ გინახავს, იმისთანა წითელი კრამიტი გამოგვიგზავნა ბატონმა არჩილმა... ბევრს რომ მუშაობს, ბატონი არჩილიც ამიტომ აფასებს და ხელს გვიწყობს!

მამასისხლად მიღირსო, ეს არ უნდა ეთქვა შაქროს, მაგრამ მთვრალს რა ჭკუა მოეკითხება!

* * *

ქორწინების სახლიდან რომ გამოვიდნენ, მეფე-პატარძალს ნათესავები და დობილ-ძმობილები შემოეხვივნენ, ნინოს და არჩილს ერთხელ კიდევ მიულოცეს გაბედნიერება, მერე თაიგულებს ხელი დაავლეს და მანქანებში ჩასხდნენ.

— ნინო და არჩილი ჩვენთან! — დაიძახა მაყვალამ.

— ჩვენ ფეხით წამოვალთ. ცოტა თავი მტკივა... გავივლი! — სთქვა ნინომ.

თავი მტკივაო! მაყვალამ თვალები დაუბრიალა პატარძალს. რა დროს თავის ტკივილია, შე სულელო! გვერდში იმისთანა ქმარი გიდგას, მისი შემხედვარე მკვდარი საფლავიდან წამოვარდება.

ნ ი ნ ო. შენ წადი, მაყვალა, ნუ დამიცდი, სტუმრებს მიხედე!

მ ა ყ ვ ა ლ ა. მე კი წავალ... შენ რაღაცა არ მომწონხარ, ნინო!

ნ ი ნ ო. დავიღალე, მაყვალა!

შეიძლება, მართლაც დაიღალა. ასე იცის ალბათ, დიდმა, მოულოდნელმა სიხარულმა, თორემ სხვა რა უნდა იყოს. საკვირველი კია, ნინომ ქორწინების ქაღალდზე ხელი ისე მოაწერა, შუბლი არ გაუხსნია. თითქოს არ უხარია, რომ ბოლო მოეღო მის ამდენ ეჭვსა და შფოთვას. ნამდვილად დაიღალა. არასოდეს არ მინახავს იგი ასე დაბნეული და მოწყენილი. არ ელოდა, საწყალი გოგო, რომ ყველაფერი ასე მალე გადაწყდებოდა... ამ ფიქრმა ცოტა გული გაუკეთა მაყვალას, შაქროს მანქანაში ჩაუჯდა.

ნინო და არჩილი კი კაკლების ხეივანს გაჰყვნენ და მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. არჩილმა ცოლს მკლავში ხელი გაუყარა. ნინომ მაშინვე ხელი გააშვებინა და ნაბიჯს მოუჩქარა. კაცმა მიიხედ-მოიხედა, მერე ქალს დაეწია და უსაყვედურა, ქუჩაში ვართ, ნინო, ნუ დაგავიწყდებაო... ქალმა ხმა არ გასცა. მიდიან უბრად.

ახლა უკვე კანონიერ ცოლ-ქმარს ერთი უბრალო სიტყვა ვერ უპოვნია, რომ ეს აუტანელი დუმილი დაარღვიონ და ერთმანეთისაკენ გული მოიბრუნონ.

არჩილის ქუჩას რომ მიაღწიეს, ნინომ უეცრად თავი დაღუნა და თვალისწამში სადღაც ორღობეში შეუხვია. არჩილს გაეცინა.

— საით ნინო! აგერ ჩვენი სახლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მოტრიალდა და ისეთი პირქუში დაცინვით გადახედა არჩილს, კაცუნას რომ გადახედავენ, უმგვანო საქციელზე წასწრებულს... ეს ქალი არასოდეს არ ყოფილა ასეთი ამაყი და გაბედული.

— ჩვენი სახლი? — წყნარად წარმოსთქვა ნინომ და ქმარს თვალებში შეხედა: — არა, არჩილ, ჩვენ არასდროს, არასდროს ერთ სახლში არ ვიცხოვრებთ...

ვერავითარი მოულოდნელი გარემოება არჩილს თავგზას ვერ აუბნევს, ბუდიდან ვერ ამოაგდებს. მან კარგად იცის, საით მიდის და რისთვის მიდის. ამიტომ არა სჩვევია ეჭვი, ყოყმანი, დაფიქრება. ან რად უნდა, როცა კაცს ჯიბეში უდევს გამზადებული ასი ათასი პასუხი ასი ათას კითხვაზე.

და მხოლოდ ახლა, აი ამ წუთში, არჩილმა პასუხი ვერ უპოვნა ნინოს სიტყვებს, იგი დაიბნა, ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში. დაიბნა იმიტომ, რომ ქალი თავის ჭკუაზე აღარ იყო, ამ სიტყვებს რომ ამბობდა. რაღაც შინაგანმა ტკივილმა თუ ნაღველმა მთელი პირისახე ერთბაშად შეუცვალა ნინოს და ამავე დროს, დიდი ძალა და სიმტკიცე მისცა ქალის თვითეულ სიტყვას.

— მაშ ხელი რატომ მოაწერე?! — ესღა მოახერხა არჩილმა და ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა ქუჩაზე.

— რატომ? — ნინომ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, თითქოს ძალა მოიკრიბაო: — არა, ნუ გეშინია, მე არავითარი ანგარება არ მამოქმედებს! მე მხოლოდ ერთი რამ მინდა. ჩემს შვილს კანონიერი მამა ჰყავდეს! რომ საწყალ დედაჩემს გული არ გაუსკდეს, ჩემმა ქალმა შინ ღობის ძირში გაკეთებული ბავშვი მომიყვანაო... შენი ცოლი კი არასოდეს არ ვიქნები.

თითზე ბეჭედი წაიძრო და არჩილს ფეხებში დაუგდო. მერე კბილს კბილი დააჭირა და უხმოდ გაბრუნდა... წავიდა, სამუდამოდ წავიდა არჩილ ყანჩაშვილის ცხოვრებიდან.

— მოიცა, ნინო, თავი მოგვეჭრება... სტუმრები გველოდებიან! — მიაძახა არჩილმა.

ნინომ არც მოიხედა. სადღაც ორღობეში შეუხვია. საცაა ყელთან მომდგარი ქვითინი გზას იპოვნის... არჩილმა არ უნდა გაიგონოს ეს. არ უნდა გაიგონოს, მაგრამ სანამდე გინდა გააჩუმო ერთ გაუთავებელ ტკივილად გადაქცეული სული და ხორცი?

დიდი მანძილი არ გაუვლია. ორღობეში მიიმალა თუ არა, იქვე ჩაიკეცა და მწარედ აზლუქუნდა.

არჩილი კი ქუჩაში კარგა ხანს იდგა და რაღაცას ელოდა.

რას? ნინო დაბრუნდებაო!

ან იქნებ ის ვერ გადაეწყვიტა, შინ წასულიყო თუ ახლავე გასცლოდა აქაურობას. „წავალ თბილისში და ერთი-ორი კვირის მერე დავბრუნდები, როცა ხალხი ამ სამარცხვინო ამბავს მიივიწყებს!“ — გაიფიქრა მან, მაგრამ იმავე წუთში გაახსენდა უწყლოდ, უბალახოდ დარჩენილი ცხვარი გადახნულ საძოვრებზე.

„სად უნდა წავიდე, როცა ყელზე გასანთლული თოკი მაბია!“

სახლისაკენ გაუხვია. გზაზე რაღაც გაახსენდა, მაშინვე მობრუნდა, ბეჭედს დაუწყო ძებნა. იპოვნა, სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო...

— ბატონო არჩილ!

არჩილმა მოიხედა. ქუჩაზე შაქრო მორბოდა.

— რაიკომიდან რეკავენ, ბატონო არჩილ, ახლავე ტრასაზე გავიდესო!

არჩილი. ეტყობა, გზაზე ცხვარს გაუჭირდა! წადი, მანქანა გამოიყვანე და მაყვალას დაუძახე!

მაყვალას ფერი ეცვალა, ქუჩაში მარტო არჩილი რომ დაინახა.

— ნინო სად არის?

არჩილი. არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა! ტყუილად რაღაცაზე წამეჩხუბა და არ წამომყვა, მერე მოვალო...

მაყვალა. მერე? როდის მერე! ხალხი რას იტყვის!

არჩილი. ყური დამიგდე მაყვალა, შენ უნდა მიშველო ახლა!

მაყვალა. ღმერთო მომკალი, რამ გადარია ეს გოგო!

არჩილი. ნახე და უთხარი, ორივეს საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება-თქო! ახლავე მოვიდეს, სტუმრებში გამოჩნდეს... ხალხს ნუ აალაპარაკებს! აბა, ჩემო მაყვალა, შენ იცი და შენმა ქალობამ!

მაყვალა. შავ დღეს დავაყენებ იმ სულელს! (გაიქცა).

არჩილი. (მანქანაში ჩაჯდა) წავიდეთ. ბიჭო შაქრო, იმ წერილის ამბავი ხომ არსად გითქვამს?

შაქრო. რას ბრძანებთ, ბატონო არჩილ!

არჩილი. ჯვარზე რომ გაგაკრან, სიტყვა არსად წამოგცდეს!

შაქრო. ჩემი თავის მტერი ვარ?!

ქალაქიდან გავიდნენ თუ არა, ციხის ნანგრევებთან ცარიელი ავტომანქანა შემოხვდათ. არჩილმა მანქანა გააჩერა და შოფერს უთხრა, მობრუნდი და უკან გამომყევიო.

— არ შემიძლია, ბატონო არჩილ, წნორიდან სასუქს ვეზიდები, — მიუგო შოფერმა.

არ შემიძლიაო?!

არჩილი კაბინაში შევარდა, შოფერი გვერდზე მიაგდო და საჭეს მიუჯდა, მანქანა ხელდახელ მოაბრუნა.

მალე მეორე მანქანაც ამოვარდა ქვემოდან. იგი პირამდე სავსე იყო ცარიელი ყუთებით.

ბევრი იყვირა და იჯაჯღანა შოფერმა, ალაზნის რესტორანს ლიმონათი და ბორჯომის წყალი უნდა ჩავუტანოო, არჩილმა სული არ მოათქმევინა. ყუთები გზის პირას გადმოაცლევინა და მანქანა შემოაბრუნა, ნახევარ საათში ოციოდე საბარგული მოაგროვა და მიმინოს ხევისაკენ გაირეკა.

იქ კი, მიმინოს ხევის ყალთაღებზე ცოდვა-მადლის გამკითხავი აღარავინ არის. ძველი, ნაცადი გზიდან გადაყრილი ცხვარ-ბატკანი გაჭირვებით მიათრევს სულს. ჩქარობენ მწყემსები, იქნებ როგორმე გააღწიონ აქედან, თუმცა ვინ არ იცის, რომ ასეთი ჩქარი სიარული სიკეთეს არ დააყრის დამშეულ საქონელს. ახლა მარტო ურემს კი არა, ცხენ-სახედარსაც აჰკიდეს დასუსტებული ცხვრები. დახოცილებს კი ხელდახელ ატყავებენ.

საზარელი სანახავია ეს გატყავებული ლეშები, საზარელია გაუთავებელი ბღავილი მშიერი საქონლისა...

„მოსაკლავი ვარ! იმ დღეს გზიდან რამ დამაბრუნა, გონი რამ დამიკარგა! როგორ შეიძლებოდა ჩემი წაუსვლელობა! ჩემი ხელით უნდა მიმეტანა წერილი ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, მე კი გულმა სხვაგან გამიტყუა და აღარ გავუძალიანდი!“ — ეს ფიქრი გულს უმღვრევს თავჩობანს... არსენას და მამუკას თვალს ველარ უსწორებს.

ოფლად გაღვარულ არსენას ერთი ცხვარი კისერზე შემოუსვამს, მეორეს კი ფეხით მიერეკება ბილიკზე, ცხვარი ტორტმანებს, საცაა წაიქცევა... ზურიამ იცის, ეს ტყუპი ჭედილები, ირემა და ნუკრია, შარშან გზაში, თოვლჭყაპში მოიგო დედა ცხვარმა.

არსენამ უბით ატარა თოთოები, სანამ მუხლი არ მოიმაგრეს. დაღამდებოდა თუ არა, ბატკნებს ნაბადში შეიწვენდა, სუსხი არ მოხვდესო, ასე შეუნარჩუნა სული პატარებს, სანამ ფარეხებს მიაღწევდნენ.

„ნეტა რას ფიქრობენ ის ურჯულოები? მანქანები მაინც მოევლინებოდნენ, თორემ ხელში კომბლებიღა შეგვრჩება“.

— ნუკრია! — წამოიყვირა უეცრად არსენამ.

ზურიამ მოიხედა.

პატარა ბიჭი მიწაზე დავარდნილ ჭედილას მივარდა, ქამრიდან მათარა მოიხსნა, პეშვზე წყალი დაისხა და ცხვარს პირთან მიუტანა.

ნუკრიამ წყალს პირი არ დააკარა.

— ბიძია მამუკა, — ამოიზლუქუნა არსენამ.

— დაჰკალი, შვილო, — ხელი ჩაიქნია მამუკამ.

— ვაიმე დედა, ჩემი ნუკრია დავკლა?!

— ტყავი წამოიღე, შვილო, თორემ ზარალსაც შენ დაგაწერენ.

— არა, ბიძია მამუკა, არ შემიძლია... არ შემიძლია.

— შენ ტირილი მაინც შეგიძლია, ჩემო არსენ — ამოიოხრა მამუკამ, ქარქაშიდან შავტარიანი დანა ამოიღო და ცხვართან წაიჩოქა.

შორიდან საყვირის ხმა მოისმა. ნაურმალზე საბარგო ავტომანქანები შემოიჭრნენ. წინა მანქანის კაბინიდან არჩილ ყანჩაშვილი გადმოხტა.

ურმებზე დაზვავებულ სისხლიან ტყავებს რომ გადახედა, მაშინვე მიხვდა, — საქმე ცუდად იყო. წყენა არ შეიმჩნია, კიტელი გაიხადა, მკლავები დაიკარწახა, მიწაზე დავარდნილ ცხვარს ხელი დაავლო და მანქანის ძარაში გადაუძახა...

დატრიალდნენ მეცხვარეები, შოფრები. მანქანები სასწრაფოდ დატვირთეს.

— შენ ამათ გაჰყევი, მამუკა. ზემო-კალოს გასცილდები თუ არა, წყალი და თივა იქ დაგხვდება, — სთქვა არჩილმა, მერე ზურიას მიუბრუნდა.

— ხედავ, რა გვიქნა ამინდმა... ზარალი დიდია?

ზურიამ გულისჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და არჩილს გაუწოდა.

— ჯერჯერობით ეს არის.

— ორას ორმოცდაექვსი დედა ცხვარი და სამოცდათოთხმეტი ბატკანი. — წაიკითხა არჩილმა: — მე მეგონა, მეტი იქნებოდა...

არა, ამდენიც არ ეგონა, მაგრამ მაინც ასე სთქვა.

ზურიამ ხმა არ გასცა. ჩუმად გაჰყვნენ გზის პირს. — იცი, ჩვენ დავშორდით ერთმანეთს! — სთქვა არჩილმა.

— ვინ ჩვენ? — უგულისყუროდ ჰკითხა ზურიამ. მერე ერთბაშად იყვირა: — რას ამბობ, როდის, რატომ?!

არჩილი. რატომ? (ჩაიცინა) სწორედ ეგ არ ვიცი, ჩემო კარგო. იქნებ შენ მაინც გამაგებინო, შენ ხომ ჩემი მაჭანკალი იყავი!

ზურია. (ცდილობს, მღელვარება არ შეიმჩნიოს, ვერ ახერხებს) მაინც რა მოხდა?

არჩილი. რაც მოხდა — მოხდა, არ მინდა იმ შავი დღის გახსენება, მე სხვა საქმე მაქვს შენთან...

ზურია. ჩემთან?

არჩილი. ამ წელიწადმა ყველაფერში გაგვიმართლა, პურიც ბევრი მოვიდა, ყურძენიც, თამბაქოც, დოლიც კარგი გვქონდა. თერთმეტი კაცი უნდა წარვადგინოთ შრომის გმირობაზე. იმ თერთმეტში, რა თქმა უნდა, შენცა ხარ, ახლა კი, ხედავ, რა დაგვემართა!

ზურია. რამდენი გეჩხუბეთ, ამხანაგო არჩილ, ჩვენი სიტყვა მაინც არ გავიდა. გარდამავალი საძოვრები გაატიალეთ! ერთი ყორული არ დაგვიტოვეთ.

არჩილი. ახლა რა ვქნათ, დავჯდეთ და საყვედურები ვუთხრათ ერთმანეთს? საამისოდ გვცალია? ახლა რაიონს უნდა ვუშველოთ, ბრიგადირო, შენ ამაზე იფიქრე.

ზურია. მე რა შემიძლია... ამ ცხვარ-ბატკანს ხომ ვერ გავაცოცხლებ.

არჩილი. გავაცოცხლებთ... თუ დამიჯერებ.

ზურია. რა დროს ხუმრობაა, ამხანაგო არჩილ.

არჩილი. არ გეხუმრები, ყური დამიგდე, ეს აქტი რომ დაიხეს, ჩვენ არაფერში ჩამორჩენა აღარ გვექნება. რაიონი პირველ ადგილზე გამოვა.

ზურია. იცოცხლე პირველი ადგილი კარგი იყოს, მაგრამ ეს ამდენი ცხვარ-ბატკანი საიდან მოვიყვანო.

არჩილი. ამ ზარალს გაისად დავფარავთ. დოლი რომ დაიწყება, სამას ოც ბატკანს შემოსავალში ნუ ჩავწერთ..

ზურია. მაშ ეს ქაღალდი უნდა დაიხეს, არა?

არჩილი. თუ ოქროს ვარსკვლავი გინდა?

ზურია. ვინ უნდა დახიოს, შენ თუ მე?

არჩილი. ვინც შეადგინა... თუმცა...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ზურიამ მოუქნია და ისეთი სილა შემოჰკრა, ხუთივე თითი ლოყაზე წითლად მიაბეჭდა.

* * *

მეტრეველის კაბინეტი.

— შეიძლება?

— ბარემ არა ხარ შემოსაშვები, მაგრამ რას იზამ, შემოდი!

ზურიას რატომღაც გულს მოეფონა, რაიკომის მდივანი ასე უკმეხად რომ შეხვდა. ახლა თავჩობანს არც სამძიმარი უნდოდა, არც შებრალება და პატიება.

ზურიამ კარი მიიხურა, მაგიდას მიუახლოვდა, ჯიბიდან ორდენი ამოიღო და მეტრეველს წინ დაუდო.

მეტრეველი. რაშია საქმე?

ზურია. ამხანაგო მდივანო, მე ამის ღირსი არა ვარ! ცხვარს ვერ მოვუარე...

მეტრეველი. ვიცი, საუკეთესო დედა ცხვრები დაიხოცნენ.

ზურია. ამას გარდა... (შეყოყმანდა, სული მოითქვა) გუშინ გზაზე არჩილ ყანჩაშვილთან ლაპარაკი მომივიდა, თავი ვერ შევიკავე და... ხელი შემოვკარი.

მეტრეველი. რაო, რაო! ხელი შემოჰკარი?

ზურია. რა ვქნა, ამხანაგო მდივანო, გამიწყრა ღმერთი!

მეტრეველი. ესღა გვაკლდა (ზარის ღილაკს ხელი დააჭირა, შემოვიდა მდივანი ქალი) ყანჩაშვილს დაუძახე!

ზურია. ძალიან დავაშავე ამხანაგო მდივანო, მაგრამ თქვენ არ იცით...

მეტრეველი. (შეაწყვეტინა). რა არ ვიცი! შენ და არჩილ ყანჩაშვილმა ნახევარი ფარა გაწყვიტეთ, ეს არ იკმარეთ და ახლა მუშტი-კრივი გამართეთ.

# დავულოცოთ გზა



მრავალთა შორის, ერთი ასეთი კარგი ტრადიცია გვაქვს: გზას დავულოცავთ ხოლმე ყოველ ახალგაზრდას, რომელიც პირველად გამოდის და პირველ ნაბიჯებს სდგამს დიდ ასპარეზზე. ასე გამოჰყავთ ჟურნალ-გაზეთებს პირველი ლექსისა თუ მოთხრობის ავტორები, ნორჩი მოჭადრაკეები თუ მომღერლები...

ამჯერად კი, გზა დავულოცოთ ნორჩ ისტორიკოსს.

ილია ანთელავა ჯერ ისევ მე-8 კლასის მოსწავლე იყო, როცა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სამეგრელოს სამთავროს ეკონომიური მდგომარეობა XVII საუკუნეში“ (ხელმძღვანელი პროფ. შ. მესხია).

ილია ანთელავა ამჟამად თხუთმეტი წლისაა და მე-9 კლასში სწავლობს.

აქვე ჩვენ ვაქვეყნებთ მის პირველ სტატიას.

კაბინეტში არჩილი შემოვიდა. კობაიძე რომ დაინახა, ერთი კი შეცბა. აიწურა.

მაშინვე თავს მოეგო, ბრძოლისათვის მოემზადა.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. რა მოხდა თქვენს შორის, არჩილ, გუშინ რატომ არაფერი მითხარი.

— რა უნდა მომხდარიყო, ბატონო სიმონ! — ისე გულწრფელად შეიკვირვა არჩილმა, რომ მეტრეველი სახტად დარჩა.

— თქვენ რა, წუხელ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევიათ! — სთქვა მან.

ა რ ჩ ი ლ ი. წუხელ მე და თქვენ ერთად ვიყავით თათბირზე.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. აბა ეს რას ამბობს, ყანჩაშვილს ხელი შემოვკარიო.

— მე შემომკრა? — არჩილმა ხელები გაშალა და გულიანად გაიცინა: — პირდაპირ სასწაულია, რატომ დასჭირდა ამის მოგონება ამხანაგ კობაიძეს. მართალია, ცოტა კი შევლაპარაკდით, მაგრამ... ჩემი გალახვა არც ისე ადვილია, ბატონო სიმონ!

ამას კი აღარ მოელოდა ზურია კობაიძე. რა იყო ეს, სულგრძელობა? გულის სიკეთე? შეუძლებელია.

ზ უ რ ი ა. მე აქ ტყუილის სათქმელად ვერ მოვბედავდი, ამხანაგო მდივანო. გუშინ მოვიდა და მითხრა, ზარალი დამალეო. წლევანდელი დანაკლისი გაისად დოლის დროს გავასწოროთო...

ა რ ჩ ი ლ ი. ზღაპარია!

ზ უ რ ი ა. მაშინ ვერ მოვითმინე და...

ა რ ჩ ი ლ ი. (უტიფარი სიცილით) შენ რომ ჩემთვის ხელი შემოგეკრა, მერწმუნე, ჩემო კარგო, დღეს აქ შენი ფეხით ვერ მოხვიდოდი!

— ეს ვინ ყოფილა, გავგიჟდი კაცი! — იყვირა ზურიამ და ქუდს ხელი დაავლო.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მოიცა ბიჭო, სად მიხვალ!

ზურიამ არც მოიხედა. კაბინეტიდან გავარდა.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. გამიგონე არჩილ, შენ ხომ არაფერს მიმალავ?

ა რ ჩ ი ლ ი. დასამალავი რა მაქვს, ბატონო სიმონ!

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ვერ გამიგია, ეს რა ჟინია, კაცმა თავის თავს ასეთი შარი აუტეხოს!

ა რ ჩ ი ლ ი. ლაფში უნდა ამომსვაროს, ამას იმიტომ აკეთებს.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. რას გემართლება?

ა რ ჩ ი ლ ი. პირადი ანგარიში აქვს ჩემთან. სხვა დროს გიამბობთ.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ძალიან გამირთულე, არჩილ, მდგომარეობა, ხვალ რა პასუხი გავცე მეცხვარეებს. ერთმა კაცმა როგორ გადაწყვიტე ყველაფერი?

ა რ ჩ ი ლ ი. შევცდი, ბატონო, სიმონ, მაგრამ ნათქვამია, ვინც არაფერს არ აკეთებს...

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. თუ კაცი ხარ, გაჩუმდი, მეორედ არ გამაგონო ეს სისაძაგლე. ყველა უსინდისო კაცი ამ გაცვეთილ ჭეშმარიტებას ამოეფარება ხოლმე.

ა რ ჩ ი ლ ი. უსინდისო?

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. გენდე, ხელი შეგიწყვე, რითაც კი შემეძლო. ნარიანს ტრაქტორები წავართვი და ყველა შენ გამოგიგზავნე, შენ კი ხალხის თვალში დოყლაპიად გამომიყვანე... რაიონში აღარ დამედგომება! რას იტყვიან, პირველ მდივანს თვალები სად ქონდა, როდესაც საძოვრებს ხნავდნენო...

ა რ ჩ ი ლ ი. მე ჩვენი რაიონის გამარჯვება მინდოდა...

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. გინდოდა თუ არ გინდოდა, ამაზე ხვალ ბრიგადაში ვილაპარაკოთ.

ა რ ჩ ი ლ ი. ბატონო სიმონ...

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ახლა წადი, მხოლოდ გირჩევ, ხვალ უფრო გულწრფელი იყო...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## ლევან II დადიანის ბიოგრაფიის ერთი საკითხი

ლევან II დადიანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა XVII საუკუნის საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს ისტორიაში. თავისი დროის ეს დიდი პოლიტიკური მოღვაწე სამეგრელოში მთავრობდა 1611-1657 წლებში. ლევან დადიანმა მრავალი ღირსშესანიშნავი საქმე გააკეთა. მან XVII საუკუნეში, ქართველი ხალხისათვის ამ ძნელბედობის საუკუნეში სცადა კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა ევროპასთან და გასხლეტოდა თურქეთს. ლევან დადიანმა მძიმე პირობებში გაგზავნა კაცი, გაატანა საჭირო თანხები და შეაკეთებინა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი — შოთა რუსთაველის უკანასკნელი სავანე; მანვე შეაკეთა სამეგრელოს თითქმის ყველა ეკლესია. მართალია, ლევან დადიანის ცხოვრებას ჰქონდა ცალკეული ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგრამ ეს მის დიდ ღვაწლს ვერ ჰფარავს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევან დადიანმა სამთავროს მართვა დაიწყო 1621 წლის ახლო ხანებში, ხოლო მანამდე (1611-1621 წ. წ.) სამთავროს მართავდა მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი. ეს მცდარი მოსაზრება, როგორც ჩანს, მომდინარეობს არქანჯელო ლამბერტის არასწორი ცნობიდან. ლამბერტის მონაცემებით, მამის სიკვდილის შემდეგ, ლევანი მცირეწლოვანი დარჩენილა (იგი 14 წლისაც არ ყოფილა), ხოლო სამთავროს განაგებდა გიორგი ლიპარტიანი (იხ. პროფ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 419).

ლიპარტიანი „განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგეობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 15).

საკმარისია გადავხედოთ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებასა“ და ბერი ეგნატაშვილის თხზულებას, რომ დავრწმუნდეთ: ლამბერტის ცნობა სწორი არ არის.

წყაროებიდან ცნობილია და ეს ფაქტი არც სამეცნიერო ლიტერატურაში გამხდარა სათუო, რომ ლევანის მამა, მანუჩარი სამთავრო ტახტზე ავიდა 1590 წელს. იმავე წელს მან ცოლად მოიყვანა ალექსანდრე კახთ-ბატონის ქალი ნესტან-დარეჯანი: „ესე მანუჩარ ეზრახა და ემზახლა კახთ-ბატონს ალექსანდრეს და მოიყვანა ასული მისი ნესტან-დარეჯან მზითვითა დიდითა ცოლად“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ცხოვრება იმერეთისა, ტ. II, სანკტპეტერბურგი, 1854 წ., გვ. 195).

ვახუშტისავე ცნობით: „უშვა ნესტან დადიანს მანუჩარს წული ლევან, არამედ შობასავე მოკვდა ნესტან-დარეჯანი“ (ვახუშტი, დას. ნაშ. გვ. 195); იმავე მემატიანის ცნობით, დედოფალი გარდაცვლილა 1591 წ. გლოვის შემდეგ მანუჩარმა შეირთო მეორე ცოლი, ვახტანგ გურიელის ქვრივი.

ლევანის პაპამ, ალექსანდრე კახთა მეფემ სთხოვა მანუჩარს გაეგზავნა მისთვის შვილიშვილი. მანუჩარმა სიმამრს თხოვნა შეუსრულა.

როგორც ვხედავთ, ლევანი დაბადებულა 1591 წ. 1597 წ. იგი გაუგზავნეს პაპას და იყო კახეთში 1604 წლამდე.

კახეთის სამეფო კარზე მაშინ არეულობა სუფევდა. უფლისწულმა დავითმა ტახტიდან ჩამოაგდო და ბერად აღკვეცა მამა. მანუჩარ დადიანმა, შეიტყო რა გადატრიალების ამბავი, შვილი მოითხოვა. ვახუშტი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „არამედ შემდგომად იხილა რა დადიანმან მანუჩარ კახეთს დავითისაგან საქმე იგი, მოითხოვა ძე თვისი ლევან ალექსანდრესაგან, ამან წარმოუვლინა და მოვიდა მამისა თანა ლევან... მაშინ იყო ლევან წლისა იგ (13) და განიხარა მანუჩარ ხილვითა მისითა“ (ვახუშტი, დას. ნაშ. გვ. 196).

როგორც ვხედავთ, ლევანი 1604 წლისთვის 13 წლისა ყოფილა, მაშინ როცა ლამბერტის მიხედვით იგი ამ ხნის 1611 წელს უნდა ყოფილიყო. თუ ლამბერტის მიხედვით ვიანგარიშებთ, ლევანი დაბადებულა 1598-1599 წ. წ., განა შესაძლებელია დედა 1591 წელს გარდაიცვალოს (ამას არავინ უარყოფს) და შვილი კი 1598-1599 წლებში დაიბადოს?!

1611 წელს ტრაგიკულად დაიღუპა მანუჩარ დადიანი და ტახტი მიიღო ლევანმა. თუ ლამბერტის დავუჯერებთ, ამ დროისათვის ლევანი მცირეწლოვანი ყოფილა (?), მაშინ, როცა იგი 20 წლისა იყო.

აღსანიშნავია, რომ 1614 წელს იგი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს. ლევანი იმყოფება გიორგი იმერთ მეფესთან სათათბიროდ, თუ რა პასუხი გასცენ შაჰაბაზს ლუარსაბისა და თეიმურაზის თაობაზე, რომლებმაც იმერეთს შეაფარეს თავი (იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამ. თბ. 1913, გვ. 298-299, შდრ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ტ. II, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1959, გვ.394).

რა შეიძლება ითქვას გიორგი ლიპარტიანის როლის შესახებ: იგი შეიძლება მართლაც აძლევდა რჩევა-დარიგებებს ლევანს როგორც უახლოესი ნათესავი და ბრძენი კაცი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რეგენტი იყო და სამთავროს მართავდა.

ყოველივე ზემომოყვანილზე დაყრდნობით შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ლევან II დადიანი დაიბადა 1591 წელს. მამის სიკვდილის დროს (1611 წ.) იგი 20 წლისა იყო. ამ დროიდან ავიდა იგი მთავრის ტახტზე და არა 1621 წელს, როგორც ამაზე მიგვითითებს ლამბერტის არასწორი ცნობა.

ილია ანთელავა,
მე-9 კლასის მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

F-2985



ბარათაშვილის ხიდი.

ფოტო ოთარ თურქიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯვარის მონასტერი

ამბობენ, მხატვრის სული — მის ნახატებშიაო. და მართლაც, ეს პეიზაჟები თვით მხატვარია — შთაგონებული სიყვარულით იმ მიწისადმი, სადაც შენც პირველად იგრძენი მზე და ბალახის სიმწვანე, მთების სილურჯე და ზღვის გარინდება. ეს პეიზაჟები თვით ვახტანგ ჯაფარიძეა, მხატვარი, რომელიც ოთხ ათეულზე მეტი წელია დაუღალავად ემსახურება მშობლიურ ხელოვნებას. ვ. ჯაფარიძე არა მარტო თვალსაჩინო პეიზაჟისტია, იგი შესანიშნავი მასწავლებელი და საინტერესო წიგნების ავტორია აკვარელსა და ფერწერაზე.

მან ქართულ სახვით ხელოვნებაში არაჩვეულებრივი ღრმა შეგრძნებითა და დიდი ოსტატობით წარმოგვისახა საქართველოს რომანტიკული პეიზაჟი. მხატვრის ფუნჯმა მჭევრმეტყველად და ღრმად გადმოგვცა ფერების საოცარი შეხამება, მეტყველი კომპოზიცია და ცოცხალი კოლორიტი.

ვახტანგ ჯაფარიძემ თბილისის აკადემიაში გაიარა რეალისტური ფერწერის შესანიშნავი სკოლა. აქ, უფროსი თაობის ქართველ მხატვართა ხელმძღვანელობით დაიხვეწა მისი გემოვნება და აქვე მიაღწია მან დიდ პროფესიულ ოსტატობას.

მაგრამ მთელი მისი შემოქმედება ნათელჰყოფს, რომ მხატვრის უპირველესი და ყველაზე დიდი მასწავლებელი მაინც თვით ბუნება. თვით სინამდვილე იყო. მისგან შეიგრძნო მან სილამაზე და როგორც შემოქმედმა, მოსძებნა საკუთარი მხატვრული ხერხი.

ვ. ჯაფარიძე ძირითადად აკვარელით მუშაობს, თუმცა მას აქვს ზეთის ფერებით შესრულებული პეიზაჟებიც, პორტრეტებიც და ნატურმორტებიც. მას თავიდანვე აინტერესებს პეიზაჟებში აღბეჭდოს განათების სხვადასხვაობა, ფერების საშუალებით გადმოსცეს შუქ-ჩრდილის სხვადასხვაგვარი ეფექტი. სწორედ ამიტომაა მის პეიზაჟებში უხვი სინათლე, ბევრი ჰაერი და ფერთა შესანიშნავი ჰარმონია.

თავის მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე ვ. ჯაფარიძემ შესანიშნავი პეიზაჟების მთელი სერიები შექმნა. ცნობილია მისი „გუდარეხის მონასტრის ხედები“, „სვანეთის პეიზაჟები“, „კახეთის არქიტექტურული ძეგლები“, „ძველი და ახალი თბილისის პეიზაჟები“, კერძოდ, „თბილისი წვიმიან დღეს“, „ბარათაშვილის აღმართი“, „რუსთაველის პროსპექტი“; მისი სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „მუხრანის არხის მშენებლობა“, „სამგორი“, „ფრონტული პეიზაჟები“, „საგურამო, ი. ჭავჭავაძის სახლი“, „იყალთოს აკადემიის ნანგრევები“ და მრავალი სხვა. მხატვრის ქმნილებებში ცხოველმყოფლადაა ასახული საქართველოს წარსული და დღევანდელობა

მედეა კვარაცხელია





ქვარელი. სახლი, სადაც ცხოვრობდა მხატვარი.

სოფლის პეიზაჟი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი



ალპინისტები.

ფოტო გურამ თიკანაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის იატროგენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მედიცინა მუდამ ჯეროვან ყურადღებას აქცევდა და აქცევს ადამიანის ფსიქიკას.

ავადმყოფისადმი ფაქიზი მოპყრობა, მისი ფსიქოლოგიური განწყობილებისადმი ანგარიშის გაწევა წარსულშიც ჩვენი მედიცინის სასახელო ტრადიცია იყო. აკად. ი. პავლოვი გამოჩენილი თერაპევტის ბოტკინის დახასიათებისას წერდა, რომ მისი მოპყრობა ავადმყოფისადმი, შთაბეჭდილება, რომელსაც პაციენტზე ახდენდა, — ჭეშმარიტად განაცვიფრებელი იყო. ადამიანს ხშირად ჰკურნავდა მხოლოდ მისი სიტყვა; პავლოვი აღნიშნავს: ბევრჯერ მსმენია ბოტკინის მოწაფეებისაგან, რომ მათ მიერ გამოწერილი რეცეპტები ჯეროვან შედეგს ვერ აღწევდნენ, მაშინ როცა, იგივე რეცეპტები პირდაპირ სასწაულმოქმედნი იყვნენ მასწავლებლის ხელში. ცნობილი კლინიცისტი ვ. ბეხტერევი ამბობდა: თუ ავადმყოფი ექიმთან საუბრის შემდეგ შვებას არ იგრძნობს, მაშინ ის ექიმი — ექიმი არ არისო.

რამდენი იყო და არის საქართველოში ექიმი, რომელიც ავადმყოფს ჰკურნავდა არა მარტო სამედიცინო ცოდნისა და გამოცდილების წყალობით, არამედ, ამასთან ერთად, მისდამი ფაქიზი მოპყრობით და განსაკუთრებული საექიმო ტაქტით.

ადამიანის პიროვნებისადმი ანგარიშის გაწევით არის გაპირობებული, რომ ჩვენი მედიცინა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფსიქოპროფილაქტიკას, ფსიქოჰიგიენას და ფსიქოთერაპიას.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სამედიცინო და მომიჯნავე მეცნიერებათა განვითარება ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ, ჩვენი ცხოვრების ურყევი კანონია.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ მედიცინის ერთ-ერთი უბანი, რომელსაც მართალია დღეს საკმაო ინტერესით ვეპყრობით, მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. ესაა ე. წ. იატროგენური დაავადებანი.

რა არის იატროგენია?

ამ დაავადებამ სახელწოდება მიიღო ექიმის (iatro) სახელწოდებიდან. იატროგენური დაავადება აღმოცენდება ხოლმე ექიმის უნებლიეთ, ექიმის სიტყვიდან თუ მოქმედებიდან გამომდინარე უარყოფითი ხასიათის შთაგონების საფუძველზე.

ზემოთქმული რომ უფრო გასაგები იყოს, ჩვენ აქ მოვიყვანთ ნ. ა. სემაშკოს სიტყვებს:

„თუმცა უცნაურად და პარადოქსულად გვეჩვენება, მაგრამ ხანდახან ექიმი ჯანმრთელ ადამიანში თვითონ იწვევს დაავადებას. ცნობილია, რომ მრავალი ადამიანი მოვლენებზე თავისებურ რეაქციას იძლევა, მათზე ყოველივე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ნერვულნი არიან; საკმარისია ასეთ ადამიანს დაუფიქრებლად უთხრათ: „თქვენი გული არ მომწონსო“, იგი თავს ველარ გრძნობს კარგად, სულ მუდამ თავის ავადმყოფობაზე ფიქრობს, იტანჯება, არღვევს თავის რეჟიმს, ამგვარად აუარესებს თავის ჯანმრთელობას და ნამდვილად ავად ხდება.

ხდება ხოლმე, რომ ექიმი ფრთხილად არ იქცევა ავადმყოფთან ურთიერთობის დროს. ასეთი შემთხვევები ჩვენში არის: ადგილობრივი ნარკოზის დროს ავადმყოფთან ხმამაღლა ლაპარაკობენ ოპერაციის უიმედობაზე, ხმარობენ ისეთ სამედიცინო ტერმინებს, როგორიცაა „კანცერი“ და „ტებეცე“, ხოლო ეს სიტყვები კარგადაა ცნობილი დაავადებულებისათვის, ექიმები კი ფიქრობენ ავადმყოფს არ ესმის, მან არაფერი იცისო“ (ნ. ა. სემაშკო — რჩ. თხზ. 1954, გვ. 247).

ცნობილმა კლინიცისტმა ი. კანაბიხმა ამ საკითხს სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომელშიც ამ მხრივ ძალზე საინტერესო მაგალითები გვხვდება.

ოცდათოთხმეტი წლის კაცმა, გადაღლის გამო, განიზრახა დასასვენებლად კურორტზე წასულიყო. ცოლის დაჟინებითი მოთხოვნით მან საკონსულტაციოდ მიმართა თერაპევტს, რომელსაც მისთვის კურორტი უნდა შეერჩია. გასინჯვის დროს, გულის მოსმენისას, კონსულტანტმა მიაპყრო თვალები პაციენტს, მერე დაფიქრდა, მოიღუშა. განმეორებით მოისმინა გული და უთხრა: „ასე ადრე როგორ მოახერხეთ გულის ესოდენ საფუძვლიანი დაზიანებაო“. „რაშია საქმე?“ — შეშფოთებით ჰკითხა პაციენტმა. „თქვენ გული კი არა გაქვთ, არამედ რაღაც ჩვარი... თქვენ მიოკარდიტი გაქვთ“. დაახლოებით ოცწუთიანი საუბრის დროს ექიმმა განმარტა, თუ რა არის მიოკარდიტი, ახსნა რა მდგომარეობაშია ამ დროს გულის კუნთი, როგორ არის იგი გადაგვარებული. ისიც კი თქვა, რომ ახლა საჭიროა ძალიან დიდი სიფრთხილე, რათა გადარჩენილ იქნას გულის კუნთის საღი ადგილებიო. იქვე დაარიგა პაციენტი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ლოგინში ერთი-ორი კვირით ჩაწოლა, კიბეებზე ჩქარა აღარ უნდა იაროთ, უნდა მოერიდოთ ჩაის და ყავასო.

იმ დღიდან ეს კაცი სულ გამოიცვალა, გაიმსჭვალა აზრით, რომ ყველა ადამიანს აქვს გული, მას კი, მის ნაცვლად რაღაც „ჩვარი“ უდევს მკერდში. მთელი ექვსი წლის განმავლობაში გულმოდგინედ უფრთხილდებოდა თავს, ძალიან ცოტას მოძრაობდა, უჩიოდა გულს, მწვავე ტკივილებს გრძნობდა, და რა თქმა უნდა, ხშირად დადიოდა იმ ექიმთან, ვისგანაც ასეთი რჩევა მიიღო, რადგან იგი თავის სიცოცხლის მხსნელად მიაჩნდა. ერთი ასეთი ვიზიტის დროს ექიმმა ჰკითხა — ფეხების შეშუპება ხომ არ დაგეწყოთო? დაბრუნდა შინ და ხუთიოდე დღის შემდეგ შენიშნა თავისი ქვედა კიდურების შეშუპებაც.

ექვსი წლის შემდეგ ავადმყოფი გასინჯა სხვა ექიმმა; საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ მან ეჭვი შეიტანა დიაგნოზში, მიხვდა, რომ პირველი ექიმი შემცდარი იყო. ამ ექიმმა ავადმყოფს აუხსნა, რომ მას არავითარი მიოკარდიტი არა აქვს, მარტო ხანგრძლივ უმოძრაობას გამოუწვევია გულის კუნთის სისუსტე, სეირნობა და ბანაობა თანდათან ამასაც გამოასწორებსო.

პროფ. რ. ლურიას მოჰყავს იატროგენური დაავადების მაგალითები. იგი წერს: „მე მომიხდა ორი ადამიანის — დედისა და შვილის მკურნალობა. ისინი მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში საშინლად იტანჯებოდნენ. საქმე შემდეგში იყო: ოჯახის მამა საყლაპავი მილის კიბოთი გარდაიცვალა. მკურნალი ექიმი, ავადმყოფის ახლობლებს ხშირად აფრთხილებდა, რომ არ არის გამორიცხული თქვენც ავთვისებიანი სიმსივნე აღმოგაჩნდეთო. იმათაც მართლაც რაღაც ტკივილები იგრძნეს. იმ წამსვე კიბოზე მიიტანეს ეჭვი, დაკარგეს მოსვენება. საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ კიბო აქ არაფერ შუაში იყო, დედას ქოლეცისტიტი ჰქონდა, ხოლო შვილს — ბრმა ნაწლავის დანამატის ანთება“

ნათქვამთან დაკავშირებით მახსენდება საგულისხმო შემთხვევა ჩემი პოლიკლინიკური პრაქტიკიდან. პოლიკლინიკაში მისულიყო ავადმყოფი, უჩიოდა თავის ტკივილებს, გაესინჯათ და დიაგნოზის დაზუსტებასთან დაკავშირებით თავის ქალის რენტგენის სურათი გადაეღოთ. რენტგენოლოგიური განყოფილების მუშაკმა თურმე ავადმყოფს ხელთ მისცა გამოკვლევის შედეგი დასკვნით: „tumor cerebri“. ეს დასკვნა მას ხელთ გადასცეს იმის იმედით, რომ ავადმყოფმა ლათინური არ იცოდა და საფრთხილო არ იყო მას ამ დასკვნასთან დაკავშირებით რაიმე შიში აღძროდა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ავადმყოფმა წააკითხა დასკვნა ენის მცოდნეს და შეიტყო, რომ ლათინურად დაწერილი დიაგნოზი ნიშნავს თავის ტვინის სიმსივნეს. შემდეგ პოპულარული წიგნებით გაეცნო თავის ტვინის სიმსივნის დამახასიათებელ ნიშნებს, გაიგო, რომ თავის ტკივილის გარდა, ამ დაავადებას ხშირად თან სდევს მთელი რიგი სხვა ნიშნები — პირღებინება, მეხსიერების დაქვეითება, თავბრუს ხვევა და სხვა. და აი, მას ნელ-ნელა პირღებინებაც დაეწყო, ამას მოჰყვა მეხსიერების მოშლა, არასისტემური თავბრუხვევა და ა. შ. გარკვეული ხნის განმავლობაში ავადმყოფმა თავი სულ უფრო და უფრო ცუდად იგრძნო, შრომის უნარი მკვეთრად დაუქვეითდა და თავი ინვალიდად მიიჩნია. საქმე იქამდე მივიდა, რომ იძულებული შეიქნა მუშაობაზე ხელი აეღო. სისტემატური გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ ავადმყოფს თავის ტვინის სიმსივნე არ ჰქონდა და პირვანდელი დასკვნა შემცდარი იყო. ჩატარებულმა მკურნალობამ და სათანადო ფსიქოთერაპევტულმა ზემოქმედებამ შემაწუხებელი მოვლენები მოუსპო, თავის ტკივილმაც გაუარა. ავადმყოფი კვლავ დაუბრუნდა თავის საქმეს. ეს შემთხვევა 1940 წელს მოხდა. ის ქალი ამჟამადაც ცოცხალია, მუშაობს და თავის სიმსივნეზე არა თუ არ ფიქრობს, არამედ არც კი ახსოვს თუ ასეთი ავადმყოფობა არსებობს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ტრავმის, უსიამოვნების ანდა სხვა მიზეზით, ადამიანს უვითარდება შემაწუხებელი შეგრძნებები გულის არეში, გულის ფრიალი, ტკივილი და სხვა, რომელთაც, ზოგჯერ უსაფუძვლოდ, გულის ორგანულ დაავადებად მიიჩნევენ ხოლმე. აქ საჭიროა კვალიფიციური და საფუძვლიანი გამორკვევა, რომ არ იეჭვიანონ ისეთ დაავადებაზე, რომელიც ავადმყოფს სინამდვილეში არა აქვს.

საბჭოთა ექიმის, მთელი სამედიცინო პერსონალის საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ არის წარმართული. მაგრამ, როგორც გამონაკლისი, ამა თუ იმ ცალკეული მუშაკის დაუფიქრებლობის თუ შეცდომის შედეგად, ავადმყოფის ფსიქიკისადმი ანგარიშგაუწევლობა მიზეზი ხდება იატროგენური დაავადებისა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფსიქოთერაპევტული ჩარევა.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ რაიმე პათოლოგიურ მოვლენებზე ჩივილის დროს აუცილებელია ავადმყოფის საფუძვლიანი შესწავლა, რათა ნათელი გახდეს, რომ ორგანულ დაავადებასთან არა გვაქვს საქმე, რომლის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი სამკურნალო საშუალებების გამოყენება.

პროფ. მიხ. სააკაშვილი,
მეცნიერების დამსახ. მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი ბასკეთი

მარტინა მინბეგი ბილბაო

ბასკური სოფელი ბაკიო ატლანტის ოკეანის ნაპირას მდებარეობს. იგი შეფენილია გორაკის კალთებზე. ოთხნი მივემგზავრებით იქით: ჩუჩა, სილვესტრე, ჩემი ძმა ინიაკი და მე.

ავტომანქანა სოფლის შესასვლელთან გავაჩერებინეთ და ფეხით გავწიეთ. მაინტერესებდა გზას თუ გავიკვლევდი. ბევრი რამ წაიშალა ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ ბაკიო, მისი სანაპირო, მისი ბილიკები მუდამ თვალწინ მედგა.

დავადექი ბილიკს და შეუცდომლად გავწიე.

— ეს ბილიკი სკოლისაკენ მიდის, ეს — სანაპიროსაკენ, ეს კი დეიდას სახლისაკენ, — მეგონა ჩემთვის ვამბობდი, ხმამაღლა კი წარმომითქვამს. ინიაკი თვალს მიკრავს, მამხნევებს. აგერ ჭიშკარი, აგერ ვაშლის ხე, იქ კიდევ ბუჩქი, სადაც დანა ჩამერჭო. ძალაუნებურად ავტირდი, ინიაკიც ვერ იკავებს ცრემლს. ჩუჩა ხომ ბავშვივით სლუკუნებს. არც მუდამ დინჯსა და აუშფოთებელ სილვესტრეს ადგას კარგი დღე.

დეიდას სახლში ამჟამად სილვესტრეს შორეული ნათესავები ცხოვრობენ. შორიდან შევუმჩნევივართ, ჩუჩა, სილვესტრე და ინიაკი უცვნიათ; მე ვინც ვიყავი, გუმანით მიმხვდარან, მათ ყურამდეც მისულა ჩემი ჩამოსვლის ამბავი. სახლში რომ ავედით, ბასკურად შემოგვეგებნენ, ღვინით სავსე თიხის დოქითა და თიხისავე ჯამებით.

დეიდასეულ სახლში ყველაფერი ძველებურად დამხვდა. ისევ ისე იდგა სახლი, არ გადაეკეთებინათ. სახელიც სახლს იგივე ჰქონდა — ამეცა. სხვათა შორის, ბასკეთში სახლებს ადამიანებივით საკუთარ სახელებს არქმევენ. მაგალითად ბაკიოში მეზობლის სახლს ბარტურენი ჰქვია, სხვას ლორეა, იგალდე, ეროდაჩუ...

ბაკიოში დეიდაჩემის ნაცვლად უცხონი შემომეგებნენ. ისევე იდგა სიმინდის შესანახი ნალია, დიახ, ნამდვილი გურული ნალია, ასასვლელი პწკალათი, როგორც გურიაში ხის კიბეს ეძახიან. ნალიის გვერდით ტრადიციული ხის მორი იდო და ზედ ნაჯახი ჩაერჭოთ. მხოლოდ წნელით მოლობილი ორთვალა ურემი არსად ჩანდა.

შემდეგ მეზობლებმა გადაგვიპატიჟეს. ბავშვობის დროინდელი მეგობრები ბევრი არ დარჩენილან. ვინც ვნახე, ჩემზე მეტად გაჭაღარავებულან.

სადილობის დრო მოახლოვებულიყო. თუმცა ბევრ ადგილას გვეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც სოფლის ტავერნაში ვარჩიეთ გვესადილა. ტავერნის დიასახლისი კეთილი ღიმილითა და ალერსით შემოგვეგება. ჩემიანები იცნო. შემდეგ მე შემომხედა შეფარვით, ერთხანს ყოყმანობდა და შემდეგ შემეკითხა:

— სინიორა, თქვენ მარტინა ხომ არა ხართ?

რომ დავუდასტურე, მომვარდა, გადამეხვია, სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა. მეც ჩქარა ვიცანი ჩემი ბავშვობის საუკეთესო მეგობარი მარია ლუისა. კალმით არ აიწერება, ისეთი სუფრა გაგვიშალა. ჩემიანებს ერთი პესეტაც არ გადაახდევინა. თქვა, რომ დღეს მე მისი სტუმარი ვარ. მარია ლუისას ტავერნამდე, ბასკეთში მჟადი არ მეჭამა. პატარაობისას კი ჩვენი მისაჭმელი მჟადი იყო, განსაკუთრებით დილდილობით რძეში ჩაფშხვნილი მიყვარდა.

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 8, 9, 10, 11.

უცბად ჩემი მზერა კედელზე ჩამოკიდებულმა კალენდარმა მიიპყრო. კალენდარზე ბასკების შვიდკაცა იყო გამოხატული და ბასკურ სიმღერას მღეროდა. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მარიამ ლუისას კედლიდან კალენდარი ჩამოვახსნევინე და ჩემიანების გაკვირვებულ თვალებს რომ წავაწყდი, ავუხსენი, რომ საქართველოშიც ასეთი შვიდკაცები ჰყავთ და ჩემს ქართველ ნათესავებს გაეხარდებათ ამ სურათის ნახვა-მეთქი.

შვიდკაცამ და ღვინომ სიმღერის ხასიათზე დააყენა ინიაკი, სილვესტრე და ხოსე. თითქოს წინასწარ მოლაპარაკებულნი ყოფილიყვნენ, სამ ხმაზე ბასკური ხალხური სიმღერა წამოიწყეს. როგორ ვთქვა, ბევრი რამ ნაცნობი მომესმა მათ სიმღერებში. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძლიერ ჰგავდა სიმღერას, რომელსაც გურიაში მღერიან:

**სამი ძმანი გურულები**
**მუშაობდნენ ყანასა...**

ეგებ მომეჩვენა, არ კიცი, ეს კია, ბასკური სიმღერაც სამხმოვანია. ჩემი ინიაკი პირველს არაკრაკებდა, ხოსე მეორეს უკიდებდა, სილვესტრე კი დინჯად ბანს აბუბუნებდა.

შემდეგ მარია ლუისამ მაგნიტოფონი ჩართო და თავათ ბასკ ქალთა ცეკვა ირლანდერა ჩამოუარა. მოიბოდიშა, ბასკური ტანსაცმლის გარეშე ცეკვა თავის ეშხს ჰკარგავსო.

ახლა ტემპიანი ცეკვა ჩართეს. ინიაკი წამოხტა, სუფრის დანას ხელი წაავლო, ხანჯალივით დაიჭირა და მამაკაცური ესპატადანცა ჩაბუქნა. მეორე დანაც აიღო და კივილით ხანჯლებით ცეკვა გამართა. ბოლოს ცოლ-ქმარმა მარია ლუისამ და ხოსემ ბასკური ხოტა იცეკვეს. ესპანეთის ყველა კუთხეს თავისი ხოტა აქვს, რომელიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება.

კარგა მოსაღამოვებული იყო რომ ავიშალენით. მარია ლუისამ საგზაოდაც ჩაგვილაგა სურსათი, თუმცა დიდად ვუარობდით. ასეთი სტუმართმოყვარე და გულუხვია ბასკი.

ბასკები გარეგნობით ძალიან ჰგვანან ქართველებს. მეც ხომ საქართველოში ქართველ ქალში ვერ მარჩევენ. ბასკი ფიცხი და მოძრავია, ხმამაღლა ლაპარაკობს, სათქმელი თუ ვერ გაგაგებინა, ხელების მოშველიებაც უყვარს. სტუმრისათვის არაფერს იზოგავს. ბასკები გულადები არიან, ეს სამოქალაქო ომის დროს დაამტკიცეს, როდესაც თითქმის მთელი ბასკეთი რესპუბლიკელთა მხარეზე იყო და ფრანკოს ჯარებს ებრძოდა; ბასკებმა მაშინ დიდად ისახელეს თავი: სიმღერით იმარჯვებდნენ და სიმღერით კვდებოდნენ. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იარაღს ხელს არ უშვებდნენ.

როგორც საქართველოში ქართულ ჩოხა-ახალუხს მარტო თეატრებსა და კინოებშიღა ნახავთ, ისევე ბასკურ ტანსაცმელსაც იშვიათად თუ წააწყდებით სადმე. მაგრამ მე ბედმა გამიღიმა და ნამდვილი ბასკეთი მაინც ვნახე. ეს იყო ჩემი სიძის სილვესტრეს სოფელ ლარაულში, რომელსაც ბაკიოს ნახვის მეხუთე დღის შემდეგ ვესტუმრეთ. სილვესტრეს იქ დედა ჰყავს და საკუთარი სახლი აქვს; სახლს ავაიჩენესი ჰქვია. იმ სოფელში დღეობაზე მოვხვდით და ბასკურად მორთულნიც იქ ვნახე.

მართალია დღესასწაულის მხოლოდ ბოლოს მივუსწარით, უკანასკნელ ცეკვას ასრულებდნენ, ბასკურ ნაციონალურ ცეკვას ლენტებით.

ჯერ ბასკების ჩაცმულობას აღვწერ: ვაჟებსა და ქალიშვილებს ფეხზე ქალამნები აცვიათ, მხოლოდ ქალიშვილები თასმებს თეთრ წინდაზე იხვევენ, ვაჟები კი ისე, როგორც წინათ საქართველოში გლეხები იკრავდნენ. ვაჟებს ლურჯი ბერეტები ეხურათ, წელზე ლურჯივე ქამარი. ზემოთ — მოქსოვილი ხალათი. ქალიშვილებს წითელი ქვედატანი ეცვათ, თეთრი ზედატანი, შავი კოფთა და შავივე პატარა წინსაფარი. თავზე თეთრი თავსაბურავი ეკეთათ. მზიანი დღე იყო, სრულიად არ ციოდა. მოზეიმენიც გარეთ გამოსულიყვნენ. სამიოდე ვაჟს სამთვლიანი სალამური ჩისტუ ეჭირა, მხარზე ტამბორილი — დოლი ეკიდა და მარცხენა კი დოლზე დასაკრავი ჯოხისათვის ჩაევლოთ. ერთ და იმავე დროს, ჩისტუზე უკრავდნენ და ჯოხით ტამბორილზე ტაქტს აყოლებდნენ. შუა მოედანზე ვაჟი იდგა, ხელთ წითლად შეღებილი მაღალი გათლილი ანძა ეჭირა. ანძაზე აბრეშუმის ლენტები ეკიდა, სამი ფერის ცხრა ლენტი: წითელი, თეთრი და მწვანე. ამ ფერებისაგან შედგება ბასკების ნაციონალური ალამი. ცხრა ქალიშვილს ცხრა ლენტი ეჭირა და მუსიკის ხმაზე ირგვლივ ტრიალებდნენ. ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ლენტ ქვეშ გაძვრებოდნენ. ლენტი თანდათანობით ინასკვება და სამფეროვანი ხდება. ცეკვა მსუბუქია, გეგონებათ წყლის ზედაპირზე დაცურავენო.

ბასკეთში ყოფნის ერთი თვე საოცრად ჩქარა მიიწურა. დედაჩემმა შინ ყველა კალენდარი გადაამალვინა, რომ არ მცოდნოდა თუ რამდენი დღე გავიდა.

თვის მიწურულს თბილისიდან ბავშვების წერილი მივიღე. ქართულად მწერდნენ. ყველა დაინტერესდა ქართული ენით. მართალია ცალკე სიტყვებს ადრეც მეკითხებოდნენ, მაგრამ ახლა სურდათ მოესმინათ, თუ როგორ ჟღერდა ნაწერი ქართული. რომ წავიკითხე, დედამ ტირილი დაიწყო:

— ჩემო ნენა, რა შორეულ ქვეყანაში ყოფილხარ. რა ენაა ასეთი გაუგებარი და ძნელი...

აბა, ოთხმოც წელს მიღწეულ მოხუცისათვის რა მეთქვა, როგორ გამეგებინებინა რაოდენ ტკბილი და კეთილხმოვანია ჩემი შვილების დედაენა. ჩემმა დამ კი ბავშვების წერილი ძვირფას რელიქვიად დაიტოვა.

არ ვიცი, შეხვედრა უფრო გამიძნელდა თუ ჩემიანებთან დაშორება. ჩემი გამგზავრების წინა დღეს დედა ძმასთან წაიყვანეს. ახლაც ყურში მიწივის მისი გამოსათხოვარი ძახილი:

— ნენა!... ნენა!...

ბასკეთს რომ გავცილდი, გულმა ჩემი მეორე სამშობლო მომანატრა. საოცარი ძალით მომინდა ჩემი ოჯახის ნახვა, ჩემს ბავშვებთან ყოფნა. ადამიანს ერთი გული აქვს, თორემ ორი რომ მქონოდა, ერთს იქ დავტოვებდი, მშობლიურ ბასკეთში, დედასთან, ძმებთან, დასთან და მეორეთი აქ ვიცხოვრებდი, ჩემს ახალ სამშობლოში, ჩემს ოჯახში, ჩემს შვილებთან.

**ბილბაო—თბილისი.**

# ბწკარები და ტაეპები



ბორის ჩხეიძე

სიტყვა „ენგური“, წარწერილი საქართველოს რუკაზე, უოველთვის ვაჟკაცურად ჟღერდა. ეს საკმაოდ დიდი მდინარეა. წყლის რაოდენობით, როგორც მცოდნეები ამბობენ, თითქმის რიონს უტოლდება.

ჯან-ღონით სავსე მთების ამ შვილს სვანეთის ხალი კლდეების სიამაყე დაუძლევია და კავკასიონის დასავლეთი მხარე სიგრძეზე გაუპია. მოდის, მოღმუის უფსკრულებში. ხორხის მთის ძირამდე რომ მიაღწევს, ოდნავ მშვიდდება, გეგონებათ ადამიანებისა მოხათრებიაო. მოდი და ნუ მოეხათრება! ენგურჰესის მშენებლებს წყლის გადასაშვები გვირაბი გაუჭრიათ კლდეში. ამ გვირაბში შეუშვიათ მდინარე. რკინა-ბეტონის ვეება მილით შეუსალტავთ მთის წყაროების, თოვლის და ყინულების ნაჟური ლაღი სტიქია. გადალობილ, ამოშრეტილ კალაპოტში მანქანების მთელი დივიზია განლაგებულა.

ლამაზია ენგური, ესაა მომხიბვლელი პოემა, შექმნილი ბუნების მიერ. ახლა მის მიდამოებში, მის გულმკერდზე ჩვენი მშენებლები წერენ ახალ პოემას, რომლის მზეებრ მბრწყინავი ბწკარები და ტაეპები სამუდამოდ გასძლებენ.

მადლიანი მარჯვენა წერს სინათლისა და სიცოცხლის ამ ახალ პოემას.

არა, არ ვიცნობდით აქამდე ენგურს მის საკადრისად. ეს მარტო ჩვენი ბრალი არ იყო. მთებში თვითონ იმალებოდა ეს შფოთიანი მდინარე. დაბლობზე გამოსულიც კი, იქვე, ორმოციოდე კილომეტრზე რომ ზღვას ერთვის, პირის სანახავს გვთხოვდა.

რამდენი ეცადა, მაინც ვერ დაიმალა.

გინდათ ნახოთ ადამიანისა და ბუნების ძალების ეს საოცარი შერკინება? სოხუმისაკენ ღამით მიმავალ მატარებელს გაჰყევით. დილით ექვს საათზე, იქ, ენგურჰესის მშენებლობაზე იქნებით. მართლაც გაგაოცებთ მისი ბუმბერაზული მასშტაბები. მსგავსი არსად მომხდარა — წყლის გადამღობი რკინა-ბეტონის ნაგებობა სამას მეტრზე ავარდება ცაში.

## გვირაბები

ოთხმოცდახუთი წლის ილარიონ ხასაიას თუ დავუჯერებთ, იმ ადგილებს, სადაც ახლა ენგურისათვის კლდეების წიაღში დროებითი სადინარი გაუჭრიათ, ფოცხოეწერი რქმევია. მდინარის კალაპოტი აქ ვიწრო იყო, ირემი თამამად გადახტებოდაო ერთი ნაპირიდან მეორეზე. კლდე და ნარიყით სავსე ნაბდისტოლა ვაკეები საყანედ არ ვარგოდა. სამაგიეროდ თხებს უყვარდათ ეს ადგილები სახტომად და ნეკერის საკორტნელად.

ენგურჰესის კაშხალის მშენებელთა ერთ-ერთი სამმართველო ფოცხოეწერის მარჯვენა ფერდზეა, კლდეთა ქარაფებს შორის. იქ ცხოვრობს სამმართველოს უფროსი აკაკი უგრეხელიძე. აქვე დასახლებულან ტექნიკოსები, ოსტატები, მუშა-მოსამსახურეები. თუ ერთი-მეორეს მივუმატებთ ყველა იმ გვირაბს, რომლებიც უგრეხელიძეს უშენებია, ათი წიფის ტოლი გამოვა. გვირაბების გაყვანა და მოპირკეთება, ამ ინჟინერს მოწოდებად გადაქცევია.

ენგურჰესის დაწყებამდე გვირაბგაყვანის ტექნიკას დასაკვეხი იმდენი არაფერი ჰქონდა, — ამბობს უგრეხელიძე და განმარტავს, — ხელით ვბურღავდით, ხელით ვაფეთქებდით, ხელით ვეზიდებოდით გარეთ მიწაღორღს. ასე იყო თუ არა? — იმოწმებს იგი გვირაბგაყვანის ოსტატს — ირაკლი ობოლაძეს.

— დიახ, ასე იყო. მიწის გასატანად აქა-იქ ვაგონეტებს თუ ვიშველიებდით. მეტი არაფერი, — უდასტურებს ირაკლი.

## ეს მოხდა თათბირზე

ახალგაზრდა ინჟინერი ლევან ჭიჭუეშვილი გამბურღავი და ამწმენდი მანქანების სათადარიგო ნაწილების საშოვრად გაგზავნეს მოსკოვში, გაგზავნეს სწორედ იმ დღეებში, როცა იქ მეგვირაბეთა თათბირი მიმდინარეობდა.

— აბა, შენ იცი ლევან, — უთხრა აკაკი უგრეხელიძემ ახალგაზრდა ინჟინერს, — ნაწილები უნდა იშოვნო. თათბირსაც დაესწარი. მერე გამაგებინე, მომიყევი, ვინ რა თქვა.

ჭიჭუეშვილმა სათადარიგო ნაწილები ვერ იშოვა. ლაპტევის ქარხანას, რომელიც ამ მანქანებს უშვებდა, დიდი ხანია შეეწყვიტა სათადარიგო ნაწილების წარმოება. ამის მიზეზი თურმე ის იყო, რომ ზოგიერთებს არ მოსწონდათ მანქანის კონსტრუქცია.

ლევანს, რომ იტყვიან, გული უკვდებოდა. იაქესავით მარტო იჯდა კუთხეში, სიტყვის მოთხოვნასაც ვერ ბედავდა, ვაი თუ რუსულ ენაზე კარგად ვერ ვილაპარაკოო. ამ ყოყმანში რომ იყო, უცებ ჩაესმა თავმჯდომარის სიტყვები — ხომ არაფერს გვეტყვითო.

— მე გამბურღავ მანქანაზე მინდოდა მეთქვა, — დაიწყო ლევან ჭიჭუეშვილმა, — ვინ თქვა ლაპტევის ქარხნის მექანიზმები არ ვარგაო. გაქვთ სადმე კიდევ ისინი? მოგვეცით. ენგურზე წავიღებთ. მარტო ახლებს კი არა, დამტვრეულებს, მწყობრიდან გამოსულებსაც ჩვენ შევიძენთ, სათადარიგო ნაწილებად გამოვიყენებთ. ლაპტეველების მექანიზმები ძალიან კარგია, უკეთესი არც შეიძლება.

ლევანი თათბირს მოუყვა თუ როგორ ამუშავებენ ამ მექანიზმებს, როგორ თვალის ჩინივით უვლიან მათ მექანიკოსები — ხასაია, თვაური, ჭიჭინაძე, მუშკუდიანი.

— თუ არ გჯერათ, მობრძანდით ჩვენთან, ენგურჰესის მშენებლობაზე და მე გაჩვენებთ რა შეუძლიათ ამ მანქანებს.

ახალგაზრდა ინჟინერმა აქ შეწყვიტა თავისი სიტყვა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — შემოუძახეს უეცრად აქეთ-იქიდან.

— სამი წელიწადია მაგ მექანიზმებს ვამუშავებთ კლდეთა გვირაბებში, — უფრო თამამად განაგრძო ლევანმა, — ერთი შეფერხება რა არის, არ ვიცით. არც ნაწილი გაფუჭებია რომელიმეს. თითო მათგანი ორასი კაცის შრომას ცვლის ერთ საათში. შეხედავ იმ მშვენიერ მანქანებს და გული ჩაგწყდება, რომ ნაწილები გაუტეხლად, ყინულივით ადნებათ. სათადარიგო კი ვერსად გვიშოვია.

არა, ჭიჭუეშვილს მაშინ არ ჩამოუტანია სათადარიგო ნაწილები. სულ სხვა რამ მოხდა. მისი სიტყვით გახარებული მოსკოველი კონსტრუქტორები თვითონ მოიჭრნენ ენგურჰესზე, ინახულეს თავიანთი მექანიზმები. მერე დაბრუნდნენ შინ და სათადარიგო ნაწილებიც სულ მალე გამოუგზავნეს ენგურელებს.

## ქვეყანა დიდია

აკაკი ცნობილაძეს მართლაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა. იმ ხანებში უმაღლესი განათლების მისაღებად წასვლა ვერ მოახერხა, გული მაინც არ გაიტეხა. უქმად ერთი კვირაც არ უვლია, შვიდ წელიწადს ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირს იღებდა მიწის წიაღიდან. ამის შემდეგ ინსტიტუტში შევიდა, სამთო ფაკულტეტზე. გაუჭირვებლად დაამთავრა. სამთო სამუშაოების მაღალკვალიფიციური ინჟინერი ჰიდროელექტრომშენებლობის ტრესტში მიიწვიეს. აშენებდა პირველ ხრამჰესს, სამგორის წყლის სადენ გვირაბებს, არხებს და ვიადუკებს. საცხენისის და მარტყოფის ჰიდროელსადგურებიც მანააშენა. და ისევ სწავლა, ამჯერად ენერგეტიკულ აკადემიაში. აკადემიის შემდეგ მინგეჩაურის სარწყავი სისტემის მშენებლობათა მთავარ ინჟინრად გაგზავნეს. ამის დამთავრების უმალ ლაჯანურჰესის მშენებლობაზე მიიწვიეს. იქ მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლობა ჩააბარეს. ლაჯანურიდან მეორე რიგის ხრამჰესის სამუშაოებზე გადაიყვანეს. ქციის ქედების გულში დაიწყო და დაათავა ყველაზე გრძელი წყალსადენი გვირაბი, ყველაზე რთულ სამთო პირობებში, რადგანაც კლდეები სულ მაგარი ბაზალტისაგან შესდგებოდა.

ათას ცხრაას სამოცდასამ წელს, უკვე ჭაღარაშერეული აკაკი ენგურჰესის ყველაზე რთულ უბანზე დანიშნეს უფროსად.

ენგურჰესის მშენებლობამ სრულიად ახალი პრობლემები დაუსახა ჩვენ ტექნიკურ ინტელიგენციას. ეჭვი არავის აქვს, როგორც სხვა მშენებლობებზე, ჩვენი ინჟინრები აქაც გამარჯვებას მიაღწევენ. აკაკი ცნობილაძე ჯერ არ შესდგომია სალერძე გვირაბის შენებას. ამ სამუშაოს დასაწყებად დამხმარე გვირაბების და შახტების სერიები უნდა გათხარონ და დააბეტონონ. ბევრი მათგანი კიდეც დასრულდა.

— ენგურჰესმა ხომ 1970 წელს უნდა მოგვცეს ენერგია, მერე სად აპირებთ გვირაბების და მიწისქვეშა სასახლეების აშენებას? — ეკითხებიან ცნობილაძეს მეგობრები.

— ქვეყანა დიდია, მოიძებნება ადგილი — მიუგებს ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები

## კორნელი სანაძე

ცნობილი ქართველი მხატვარი კორნელი სანაძე დიდი ხანია მუშაობს პოეზიის სფეროშიც. მისი ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1927 წელს. ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ მის ახალ ლექსებს.

### ზედაზენიდან



დამიკოცნია კლდეთა ლაწვები,
გული სიმაღლეს არ დაერიდა,
დავლიე წყალი კლდიდან ნაწვეთი,
ვნახე ქვეყანა ზედაზენიდან.

ვნახე ქვეყანა ცეცხლის ამნთებთა,
ვაჟას ნაბადი, ვაჟას წყარო და,
გზაზე დამდევდა ფიქრი ამ მთებთა,
დავდიოდი და მიმიხაროდა!

### ამ ატმის ტოტებს



ამ ატმის ტოტებს, ფერადკაბიანს,
ქარის თარეში ვერ დააშინებს,
მისი ჩრდილები ტბაში დადიან,
თითქოს მიმქრალი, თითქმის წაშლილი.

და ტბის სარკეში წამწამდახრილი
პატარძალივით ჰყვავის ატამი
და მორონინობს ტალღა დაღლილი
და ფერს დაეძებს მისი მხატვარი.

### პიროსმანი



პატარა ვიყავ, მესმოდა:
ფუნჯს ცაზე ათამაშებო;
იმედის ტყვია მესროლეს,
ნატყვიარი ვარ მას შემდეგ.

მალაკნის ქუჩის მგოსანი —
ასე მეძახდნენ ბიჭები,
მეგონა, ვიყავ ფრთოსანი,
ლომივით დავაბიჯებდი.

მახსოვს სარდაფი მაღალი,
შიგ შესვლა მქონდა ნატვრადა,
მუდამ უკრავდა არღანი,
კედლებს ნიკალა ხატავდა...

რომ დიდი იყოს სიმართლე,
ამ ლამაზ დღე და ღამეზე,
რითაც ავსებდა სურათებს,
მეც იმ სიხარულს დავეძებ...

რა უკვდავების გზებია,
თუ რამ იმისი ყადრია,
რა ბევრი მიოცნებია,
რა ცოტა დამიხატია!

### რა მიყვარს



მე მიყვარს ჩემი ზვიადი მთები,
ჩემი ქვეყანა მზით მონანავე,
წიფელის ძირში ლურჯი იები,
მზის ამოსვლისას თვალს რომ ნაბავენ.

ტბაში წელამდე მდგომი ვერხვები,
განთიადების იდუმალება,
მთებში ჯანლი რომ შემომეხვევა,
მოლაღურების ტკბილი გალობა.

მიყვარს წყარონი, მოცქრიალენი,
წისქვილის ბრუნვა, მისი კაკანი,
ღრუბლები ცაზე მოციალენი,
დედას რომ ეძებს თეთრი ბატკანი.

ფერებს დავეძებ ბედის მხატვარი,
შევნატრი ველებს, ამ ქედებს, ამ ცას,
სურათთან მიმაქვს ეს ნანატრალი,
რომ ჯერ დავხატო და მერე დამწვას.

## ნანინა

სამუშაოები ენგურის მარცხენა ნაპირის მთებში განლაგებულან. მათკენ ყოველი მხრით ფართო გზები მიემართებიან. თვალმახვილი კაცი ხანდახან გვირაბის დასრულებულ ვეებერთელა, ღია პირსაც ადვილად შენიშნავს.

სამუშაოდან ახლოს არის მუშათა საცხოვრებელი პატარა, კოპწია ჯერ ხარაჩოებჩამოუხსნელი ქალაქი, ქუჩები და ბაღები დაუგეგმავთ მთის ჩხრიალა ნაკადულების — ჩელელის და ეწერწყლის შესართავთან, ვაკეზე. სულ მალე ახალი ქალაქი თავისი სილამაზით, მთისა და ზღვის ჰაერით, ბევრ განთქმულ კურორტს აჯობებს.

დასახლების შუაგულში უცხო თვალიც ადვილად შენიშნავს საბავშვო ბაღისა და ბაგის ლამაზ შენობას. ჩაუვლით ახლოს ამ შენობას და ტკბილი ქართული ნანინა შემოგესმებათ. სიმღერას ხშირად ჰცვლის პიანინოზე დაკრული ჰანგი: „ერთი თხა ჰყავდა ბებიას“.

— ვინ უკრავს?

— ჩვენი ინჟინრის ცოლი, ნანა გვენეტაძე გახლავთ. ბალღებს გვიზრდის — მოგიგებთ ცნობილაძე.

— საიდან მოიყვანეთ ასე მალე ბავშვები?

— როგორ თუ საიდან! ნეტავი ერთი მეგვირაბეების ქორწილები განახვათ! რამდენი ბალღია ბაგაბაღში? — ეკითხება ის მომვლელ ქალს, — ორმოცდათვრამეტი? ყველა აქ დაბადებულნი არიან!

ნანას მხარში უდგას ექიმი სერგო ჯაჯანიძე. ექიმი აქ ძალიან უყვართ, თბილისში ის კარგ ადგილზე მუშაობდა, მაგრამ მაინც ენგურჰესზე წამოსვლა არჩია.

## ჰინკა

როგორც კი შეხედავ ლიახუმლიას თეთრკლდოვან მთას, ძირს ენგურის უფსკრულებს, სულ მაღლა უღრან ტყეებს, მაშინვე იფიქრებ: თუ მართლა ჰინკა ქვეყანაზე სადმეა, უთუოდ აქ ბუდობსო. ლიახუმლიას მთის მერვე გვირაბის მშენებლები მას მართლაც ყოველდღე ხედავენ. ჰინკა დილის ცვლასთანავე ამოდის გვირაბმშენებლებთან. მას ყველა შოფერი უჩერებს მანქანას და საპატიო ადგილზე სვამენ. მას იცნობს ყველა ინჟინერი და მუშა. მექანიზმებს შორის ვერცხლისწყალივით დაძვრება, ხანდახან ექსკავატორის სახურავზეც ადის. მერე სადღაც დაიკარგება კარგა ხანს. როცა დასვენებისთვის მუშები და ინჟინრები გვირაბის პირას თავს მოიყრიან, პურს სჭამენ, ან ისვენებენ, ჰინკა — ექვსი წლის გოგო, აქაური ოსტატის შვილი, შესაფერი სახელი — დალი რომ დაურქმევიათ, მანქანის ან ვაგონის თავზე შეხტება. ისეთი დასვენება არ იქნება, მსმენელებს ახალი ლექსით არ გაუმასპინძლდეს.

— ჰეი, ჰინკა-დალი, პატარავ, შენ გაიზარდე — ლოცავენ გვირაბმშენებლები.

არც კინოსურათს, არც ცირკის მსახიობთა ილეთებს, არც კარგად გათამაშებულ პიესას არ შეუძლია გვირაბმშენებლების ისე გახარება-გართობა, როგორც ეს პატარა დალის შეუძლია.

* * *

მზე შავ ზღვაში ჩაესვენა. ნელნელა ქრება დღის სინათლე. მაგრამ ერთი წუთითაც არ ბნელდება ენგურჰესის მშენებლობაზე. ელექტრონები ანთია გვირაბებში, ელექტრონითაა გაბდღვრიალებული მთების მწვერვალები, ელნათურები კიაფობენ ენგურის ხევ-ხუვთა უფსკრულებიდან, ელნათურები ჰკიდია ხეებზე და გზის იქით ჩამწკრივებულ ბოძებზე. ღამითაც ჩახჩახებს აქ დიდი მზე, დანთებული კაცის ხელით.

ასე წერენ ჩვენი ადამიანები დიდი მზის პოემას ენგურის მიდამოებში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული თეატრის მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროის ესთეტიკურ აზროვნებას ჰყავს თავისი გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე, შეიმუშავეს და განამტკიცეს საბჭოთა ლიტერატურის, თეატრისა და კინოხელოვნების თეორიული საფუძვლები და განსაზღვრეს მისი განვითარების პერსპექტივები. ანატოლი ლუნაჩარსკი სწორედ ამ შესანიშნავ მოაზროვნეთა თაობას ეკუთვნოდა.

აქ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ა. ლუნაჩარსკი იყო უახლოესი მეგობარი და გატაცებული მოტრფიალე ქართული კულტურისა. ამას მოწმობს ახლახან „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მიერ გამოცემული კრებული „ა. ვ. ლუნაჩარსკი ქართული ხელოვნების შესახებ“ (წიგნი შეადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ლია ღლონტმა). ეს წიგნი ძირითადად მოიცავს კოტე მარჯანიშვილის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვებსა და საგაზეთო წერილებს, მაგრამ ყოველივე ეს ისეთი ღრმა ანალიზის შემცველია, რომ თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ საქართველო თავისი დიდი ისტორიითა და ხელოვნებით; დაკვირვებულმა მკვლევარმა შეიცნო არა მარტო მარჯანიშვილის ბრწყინვალე ტალანტი, არამედ ის გარემოც, ის ტრადიციებიც, რომელთაც წარმოშვეს ეს დაუცხრომელი რეფორმატორი და შემოქმედი ახალი თეატრისა.

ყველა ამ წერილსა და გამოსვლაში ლუნაჩარსკი მარჯანიშვილს უწოდებს თეატრალურ გენიას, „ცხოვრების დღესასწაულის ოსტატს“, ახალი თეატრის მესიას; მის სპექტაკლში ყველაფერი სიხარულის მომტანი და აღმაფრთოვანებელი იყო — მსახიობის სიტყვაც, მუსიკაც, განათებაც, დეკორაციაც.

მარჯანიშვილისა და ლუნაჩარსკის მეგობრობა, ეს ნამდვილი შემოქმედებითი მეგობრობა იყო. ისინი მუდამ ახლოს იყვნენ ერთი-მეორესთან. 1933 წელს, მცირე თეატრის ფოიეში, მარჯანიშვილის კუბოსთან ლუნაჩარსკიმ თქვა: „ეს იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო კაცობრიობის ზეიმისათვის მუდმივი სამსახური გაეწია... ეგ არაფერი, რომ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა. ჩვენ ყველანი გარდავიცვლებით — ყველა ადამიანი მოკვდავია; საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია, თუ როგორ განვლე სიცოცხლე და როგორი ხსოვნა დატოვე შენს შემდეგ. მარჯანიშვილმა განვლო მშვენიერი, იმედებით, ბრძოლითა და შრომით აღსავსე ცხოვრება. თავის მხატვრულ შემოქმედებაში ის იმისათვის ცხოვრობდა, რომ დაეტოვებინა ბრწყინვალე, ნათელმყოფელი ხსოვნა, რაც განსაკუთრებით უნდა ახსოვდეს ყველა თეატრალურ მუშაკსა და ყველა მხატვარს“.

ასეთივე განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ლუნაჩარსკი ქართული თეატრის მეორე დიდ შემოქმედსა და ფუძემდებელს — სანდრო ახმეტელს. სანდრო ახმეტელის დადგმებზე ლუნაჩარსკი წერდა: „რუსთაველის სახელობის თეატრმა მოსკოვი მოაჯადოვა. ქალაქის საზოგადოებრიობის და ჩემი აზრითაც, ის მსოფლიოს მოწინავე თეატრების რიგში ჩადგა“. ლუნაჩარსკის თქმით ეს დიდი წარმატებანი განაპირობა სანდრო ახმეტელის ჯადოქრულმა ნიჭმა და ოსტატობამ.

კრებულს ბოლოს დართული აქვს ლუნაჩარსკაია-როზენელის სანტერესო მოგონება, სადაც ცოცხლადაა დახატული ლუნაჩარსკისა და მარჯანიშვილის მეგობრობის ცალკეული ეპიზოდები.

1926 წელს ლუნაჩარსკი მეუღლითურთ თბილისში ჩამოვიდა. ამ ხანებში მარჯანიშვილი თბილისში იყო და სათავეში ედგა რუსთაველის სახელობის თეატრს.

როზენელი თავის მოგონებაში წერს:

„ძველი ყაიდის მდიდრულ, მოოქროვილ, გობელენებიან სასტუმრო „ორიანტში“ ძლივს მოვასწარით დაბინავება, რომ ტელეფონმა დაიწკრიალა. რეკავდა საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მუშაკი შალვა ელიავა, რომელმაც ჩვენთან ერთად იმგზავრა მოსკოვიდან. ის ჩვენთან ამოსვლის ნებართვას ითხოვდა, ჩვენს ნაცნობთან ერთად.

— ვისთან?

— ნება მომეცით არ გითხრათ, ერთ წუთში თქვენთან ვიქნებით. იმედი მაქვს, არ გამიწყრებით.

ანატოლი ვასილის ძე მათ შესახვედრად სასტუმრო ოთახში გავიდა. გავიგონე აღტაცებული ხმები, სასიხარულო შეძახილები. შესვლისას დავინახე, რომ ანატოლი ვასილის ძე მეგობრულად ესალმებოდა შავთვალა, ოდნავ შეჭაღარავებულ მამაკაცს.

— ძალიან მოხარული ვარ, კონსტანტინე ალექსანდრეს ძევ!

რაღა თქმა უნდა, ეს იყო ქართული თეატრის რეფორმატორი და ხელმძღვანელი, გამოჩენილი რეჟისორი — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი.

ანატოლი ვასილის ძეს უნდოდა გაეცნო ჩემთვის მარჯანიშვილი.

— ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. გახსოვთ პირველად სად შეგხვდით? — ღიმილით მკითხა მარჯანიშვილმა.

— მახსოვს. ჩემთვის, მოსწავლისათვის, რომელიც სულ სცენაზე ოცნებობდა, მარჯანიშვილის გაცნობა დიდი მოვლენა იყო. მაგრამ ნუთუ თქვენ, კონსტანტინე ალექსანდრეს ძევ, მართლა გახსოვთ ამდენი წლის წინანდელი ნაუცბათევი გაცნობა?

— კიევში, ცხრაას ცხრამეტ წელს, „ელამ ჯიმიში“ ჩვენ ერთმანეთი გაგვაცნო ჰაროლდმა, ხომ სწორია? შემდეგ კი განხეთ მოსკოვში, იმაჟინისტების საზოგადოებაში, ესენინთან და შერშენევიჩთან ერთად, „კოჭლ ოჯახში“.

— დიახ, დიახ სწორია, რა გასაოცარი მეხსიერება გქონიათ?“

ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ მეტყველებს თუ რაოდენი ყურადღებით ეკიდებოდა მარჯანიშვილი ადამიანებს. მას არ დაავიწყდა სრულიად შემთხვევით გაცნობილი ახალგაზრდა ქალი და წლების შემდეგ ისიც კი გაიხსენა თუ სად, რა ადგილზე შეხვდა მას.

ამ პატარა კრებულს ქართველი მკითხველი ღრმა ინტერესითა და სიამოვნებით წაიკითხავს.

**ალ. სიგუა**

# „მზიანი ღამე“

ნოდარ დუმბაძის „მზიანმა ღამემ“ მკითხველთა შორის ღრმა ინტერესი გამოიწვია.

რა ამბავი მოგვითხრო ავტორმა თავის ამ რომანში? ესაა ამბავი ისევ ზურიკელასი, რომელიც გაზრდილა, ქალაქის მკვიდრი გამხდარა. სახელად მას ახლა თემური ჰქვია, მისი ცხოვრების გარემოც სხვა არის, გურიის სოფელი აქ ქალაქს შეუცვლია.

რა არის სიყვარული, რა არის სიკეთე? როგორია ბედი და ხვედრი ადამიანისა, როგორი უნდა იყოს მისი არჩევანი, როგორ უნდა მოსძებნოს მან კუთვნილი ადგილი ცხოვრების გზაზე — თემურის წინაშე მკვეთრად სდგას ყველა ეს კითხვა.

ნ. დუმბაძე ყველა თავის ნაწარმოებში, კერძოდ, ამ რომანშიც ეძებს და მიელტვის სიმართლეს, სიკეთეს, ეს ამ მწერლის ტალანტის იმანენტური თვისებაა. მე მგონია, ეს ქართული ლიტერატურის ტრადიციული ლეიტმოტივია. ამ მხრივ „მზიანი ღამე“ ტრადიციული ნაწარმოებია.

ყოველ მწერალს აქვს სამყაროს თავისი მოდელი, ადამიანის შინაბუნების სტრუქტურის თავისებური ხილვის უნარი. მწერალს თქვენ ვერ დაავალებთ იქონიოს მხოლოდ ის მოდელი, რომელიც ამა თუ იმ კრიტიკოსის ცნობიერებაში არის შემუშავებული. მწერალი არასოდეს შეცდება, თუ რუსთაველის დარიგებას შემოქმედების იმპერატივად გადააქცევს. შოთა კი ამბობდა: „გული, ცნობა და გონება, ერთმანეთზედა ჰკიდიანო“.

ახლა ვნახოთ რა გულით, გრძნობით და გონებით სჯის ნოდარ დუმბაძე თავის რომანის გმირებს.

ტრაგიზმით არის აღსავსე სახე დედისა. ჩემის აზრით, თემოს შემდეგ დედის სახეა ყველაზე უფრო გამოკვეთილი ამ რომანში. ესაა უდანაშაულოდ დასჯილი ქალი, რომელმაც დაკარგა ქმარი, თორმეტი წელი არ ენახა ერთადერთი ვაჟი, ნახა თუ არა, მას კარზე სიკვდილი მოადგა. დედის სიკვდილი ნ. დუმბაძეს ჭეშმარიტი ოსტატობით აქვს შესრულებული.

ამ რომანში სხვადასხვა ადამიანები ცხოვრობენ. ყველაზე უფრო ბნელი სულის მატარებელია აბიბო; ერთი აბიბოც საკმარისია, რომ დაკარგო ადამიანის რწმენა. თემოს ხომ აბიბოს მოკვლა სწყურია. ამ მკვლელობას, თუ მორალური ნორმატივებით ვიმსჯელებთ, ალბათ გამართლებაც მოეძებნება, მაგრამ მწერალი ჰქმნის ისეთ ფსიქოლოგიურ სიტუაციას, როდესაც თემური კი არ კლავს აბიბოს, წინააღმდეგ, სიკვდილისაგან იხსნის მას. ხდება სასწაული, თემო განიწმინდება ბოროტ ზრახვისაგან, აბიბო მას პატიებას თხოვს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ნ. დუმბაძე აქ რაღაც განყენებულ ჰუმანიზმს ქადაგებს, ყველას პატიებას მოითხოვსო. შეიძლება განა აპატიო გაიძვერას? არა, არავის არ უნდა აპატიო სინდისგარეცხილობა, თუ მას შეაგნებინე, რომ ის ბინძური სულის და ქცევის ადამიანია, ეს ხომ უკვე მისი განწმენდა არის, და აბიბოს განწმენდის პირველი ნიშანი სწორედ იმ მომენტში დაიწყო, თემოს რომ პატიება სთხოვა.

ასე მგონია, ნ. დუმბაძე არასოდეს ტყუის თავის ნაწარმოებებში, ის გულწრფელია გონიერი ადამიანის გულწრფელობით, რომელსაც ესმის ისტორიის სიმართლე და პერსპექტივა. თემოს სჯერა თავერასი, მას თავერას სიმართლის საბუთები არა აქვს, სჯერა მისი რაღაც მეექვსე გრძნობით, მან აპატია აბიბოს, რადგან იცის, რომ ადამიანში სუფევს ღმერთი სიკეთისა, სიწმინდისა, ჭეშმარიტი კაცურობისა.

ნ. დუმბაძემ ისიც იცის, რომ შეიძლება ადამიანი გარემოებათა ტყვედ იქცეს, საჭიროა იხსნა ის ამ ტყვეობისაგან.

ნ. დუმბაძეს კარგად ეხერხება კალმის ერთი მოსმით დაგვიხატოს მთელი გალერეა ადამიანთა ხასიათებისა: გურამი, გულიკო, ლია, დურსუნი. ნ. დუმბაძე გმირების ხასიათებს კვეთს არა მარტო მათი ქცევით, არამედ პირველ რიგში მათი მეტყველებით, ფსიქოლოგიური სიტუაციით. ნ. დუმბაძემ იცის ჩვენი ცის, ზღვის, მიწის სურნელება, სინათლე, სიმდიდრე, ფასი.

ზურიკელა თუ თემო უკვე ოცდაოთხი წლის გახდა. ის დადინჯდა, ბევრი განიცადა, ბევრი შეიგნო, ახლა ის ღირსეული წარმომადგენელია ჩვენი ახალგაზრდობის, რომლის სულიერ სამყაროს მწერალი ესოდენ დამაჯერებელი სახეებით გადმოგვცემს.

**ვლ. მაჭავარიანი**

# როგორ ჩამოახრჩეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ზემინი

უკვე გათენდა. საათი შვიდის ნახევარს უჩვენებს. მე კი ჯერაც ისე აღელვებული ვარ, რომ ვერ ვიძინებ.

ეს-ეს არის პირდაპირი მავთულით რეპორტაჟი გადავეცი მოსკოვში. ერთი საათის შემდეგ გამოვა „პრავდა“ და მილიონობით ადამიანი შეიტყობს, რომ წუხელ ღამით, ნიურნბერგის ციხეში, სისრულეში მოიყვანეს ომის მთავარი დამნაშავეების მიმართ გამოტანილი ხალხთა განაჩენი.

ვჯდები მაგიდასთან და ვიწერ იმას, რაც წუხელ მოხდა.

სასტუმროს ფანჯრიდან მოჩანს ნიურნბერგი — 1946 წლის 16 ოქტომბრის ნიურნბერგი. ქუჩები უკაცრიელია. წუხელ, საღამოს რვა საათზე, ბერლინის დროით ჩვენ, რვა კორესპონდენტი, ორ-ორი კაცი ოთხი მოკავშირე სახელმწიფოდან (სსრ კავშირი, შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი), გამოვცხადდით სასამართლოს დარბაზში. აქვე მოვიდა ბავარიის მინისტრი — პრეზიდენტი დოქტორი ვილჰელმ ჰეგნერი და ნიურნბერგის მთავარი პროკურორი დოქტორი ფრიდრიხ ლაისნერი.

მოვიდა ნიურნბერგის ციხის უფროსი ამერიკელი პოლკოვნიკი ენდრიუსი და რვავე კორესპონდენტს სიტყვა ჩამოგვართვა — არ გავსულიყავით ციხის შენობიდან, არ დაგვეტოვებინა ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები, არ შევხვედროდით არავის ოთხმხრივი კომისიის განსაკუთრებულ მითითებამდე. ეს ცერემონია რომ დაამთავრა, პოლკოვნიკმა ენდრიუსმა, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელმა, ნიურნბერგის ციხე დაგვათვალიერებინა.

ციხის დათვალიერება დამთავრდა. ჩვენ გავდივართ ციხის ეზოში, უფრო სწორად, ციხის ბაღში, რომელიც ელექტრონათურებით არის განათებული, და შევდივართ მწვანეში ჩაფლულ პატარა, ერთსართულიან შენობაში. დღეს აქ მოხდება დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა. კარის პირდაპირ ამართულია მუქმწვანედ შეღებილი სამი სახრჩობელა. ცამეტი საფეხური ადის ეშაფოტზე. თუჯის ბლოკებზე ახალი, მსხვილი მანილური თოკები ჰკიდია, რომლებიც 200 კილოგრამზე მეტ ტვირთს უძლებენ.

სახრჩობელა სამია, მაგრამ დასჯისათვის მხოლოდ ორია მომზადებული. მათ ქვეშ აწყვია შავი ჩაჩები, რომლებსაც უკანასკნელ წუთებში თავზე ჩამოაცმევენ სიკვდილმისჯილებს. მესამე სახრჩობელა სათადარიგოა.

ღამის ათი საათია.

პოლკოვნიკი ენდრიუსი გვეთხოვება და მიდის საკნებში, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ განუცხადოს ყოველ მსჯავრდადებულს, რომ საკონტროლო საბჭომ დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი, შეწყალებაზე უარი თქვა და დასჯა გათვალისწინებულია დღეისათვის. ღამის 12 საათზე იგი მოულოდნელად შემოვარდა ჟურნალისტების ოთახში და დაბნეულმა წამოიძახა:

— გერინგი მოკვდა!

ცოტა რომ დამშვიდდა, ენდრიუსმა გვიამბო:

— გერინგი მდუმარედ შეხვდა უარს შეწყალებაზე მისი შუამდგომლობის შესახებ, მაგრამ როცა შეიტყო, რომ სიკვდილით დასჯა დღეს მოხდება, გააფთრებით მოკუმა მუშტები, მერე საწოლთან მივიდა, ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა. დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე გერინგის საკანის კართან მდგომ ამერიკელ ჯარისკაცს უცნაური ხროტინი შემოესმა. მან მაშინვე გამოუძახა მორიგე ოფიცერს, ექიმსა და მღვდელს. როცა ისინი საკანში შევიდნენ, გერინგი უკვე სულთმობრძავი იყო. 11 საათსა და 45 წუთზე იგი მოკვდა. ექიმმა მას პირში აღმოუჩინა შუშის პატარა ნატეხები და დაადასტურა მოწამვლა კალიუმციანიდით. აქვე, გერინგის საკანში იპოვნეს პატარა ცარიელი ჰილზი, რომელშიც ალბათ ინახებოდა საწამლავით სავსე ამპულა.

პოლკოვნიკმა ენდრიუსმა გვითხრა, რომ გერინგმა მის სახელზე დატოვა ბარათი. ეს ბარათი მან არ გვიჩვენა. მოგვიანებით, არაოფიციალური წყაროებიდან გავიგეთ, რომ გერინგმა ენდრიუსს მისწერა:

„ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ფელდმარშალი ჩამოეხრჩოთ“.

კიდევ ერთი, გავიფიქრე მე. თავი მოიკლა გადარეულმა ფიურერმა ჰიტლერმა, ციხეში თავი მოიკლა ლეიმ, თავი მოიწამლა მესამე რაიხის მთავარმა ცრუპენტელამ გებელსმა. ახლა კი თავი მოიწამლა გერინგმა. იგი გააფთრებით და ენერგიულად იცავდა თავს პროცესზე, ხალისით აძლევდა ინტერვიუს ბურჟუაზიული გაზეთების ჟურნალისტებს, პოზაში დგებოდა ფოტოკორესპონდენტების წინ. მან იცოდა, რომ ფული — დიდი ძალაა, იგი იძლევა ძალაუფლებას. ის კი ზღაპრულად მდიდარი იყო. დაპყრობილ ქვეყნებში ნაძარცვი განძეული მან გადამალა ნეიტრალური სახელმწიფოების ბანკებში. რაც არ უნდა მოუვიდეს გერმანიას, იგი დიდებულად იცხოვრებს. იგი არასოდეს არ ფიქრობდა იმაზე, რომ დანაშაულისათვის პასუხს აგებინებდნენ, მაგრამ როცა დარწმუნდა, აღარავითარი იმედი აღარ არისო, ეშაფოტზე ასასვლელად ვაჟკაცობა აღარ ეყო.

ღამეა. პირველს ხუთი წუთი უკლია. ჩვენ, ყველას, რვა ჟურნალისტს, გვიწვევენ დასჯის ადგილას. ჩვენ ვიკავებთ მითითებულ ადგილებს ეშაფოტის



ნიურნბერგის პროცესი. მთავარი დამნაშავენი საბრალდებულო სკამზე.

პირდაპირ, მისგან დაახლოებით სამ-ოთხ მეტრ მანძილზე. შემოდიან კომისიის წევრები, სამედიცინო ექსპერტები, ამერიკული დაცვის ოფიცრები. თვითეულ მოკავშირე ქვეყნიდან: სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთიდან დასჯას ესწრება ხუთ-ხუთი კაცი. ესენი არიან: გენერალი, ექიმი, თარჯიმანი და ორი კორესპონდენტი (სსრ კავშირიდან — საკდესის კორესპონდენტი ბ. აფანასიევი და „პრავდიდან“ — მე). დანარჩენები იკავებენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებს ეშაფოტის მხარმარცხნივ. სახრჩობელებთან, ეშაფოტზე დგას ორი ამერიკელი ჯარისკაცი: თარჯიმანი და ჯალათი.

ორის თერთმეტ წუთზე, 16 ოქტომბერს, პირველად ხელმკლავით შემოჰყავთ იოახიმ ფონ რიბენტროპი. იგი ფერწასულია, ბარბაცებს, ერთი-ორი წამით ნახევრად თვალებდახუჭული დგას, თითქოს სრულიად გაოგნებულიაო. მას ბორკილებს ხსნიან და ხელებს ზურგსუკან უკრავენ.

ეკითხებიან ინგლისურად და გერმანულად:

— სახელი? გვარი?

— იოახიმ რიბენტროპი...

იგი კიბით აჰყავთ სახრჩობელაზე, სპეციალური ღვედით უკრავენ ფეხებს და უკანასკნელი სიტყვის თქმის ნებას რთავენ.

რიბენტროპი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სურს მშვიდობა და „კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“.

მე ვუსმენ მას და ვფიქრობ: ეს კაცი აქამდე თამაშობს დიდი დიპლომატის როლს, კაცი, რომელიც გეგმავდა აურაცხელ სამხედრო დანაშაულს, აურაცხელ დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ. მას სინდისს აწევს მასობრივი მკვლელობანი და ევროპის ქვეყნების ძარცვა...

მღვდელი მოკლე ლოცვას კითხულობს. ჯალათმა სწრაფად გადააცვა რიბენტროპს ჩაჩი და ყულფი. წამი... და ჯალათი ხელს აჭერს ბერკეტს. საათზე ორის თხუთმეტი წუთია. ორის ჩვიდმეტ წუთზე შემოჰყავთ ბორკილგაყრილი კეიტელი. გენერალ-ფელდმარშალი გაფითრებულია, მაგრამ თავდაჭერა არ ღალატობს. იგი თვალს ავლებს ირგვლივ მდგომთ და მზერა სახრჩობელაზე გადააქვს. მე ყურადღებით ვუთვალთვალებ მას. მის სახეზე რაღაცამ გაიელვა — არ ვიცი, შიში იყო ეს თუ მღელვარება, მაგრამ იგი მაშინვე თავს იმაგრებს. მკაფიოდ, როგორც სამხედრო პირს შეეფერება, წარმოთქვამს გვარსა და სახელს:

— ვილჰელმ კეიტელი...

და ეშაფოტზე ასული აცხადებს:

— მე მივმართავ ყოვლისშძლე ღმერთს, მე ვთხოვ მას შეიბრალოს გერმანელი ხალხი. ჩემამდე ორ მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა სამშობლოსათვის. ახლა მე მივდივარ ჩემს შვილებთან.

მე გაოცებული ვისმენ ამ სიტყვებს. კეიტელი და იოდლი — მესამე რაიხის მხედართმთავრები, ჰიტლერის სამხედრო მრჩევლები ხომ პასუხს აგებენ სამოქალაქო მოსახლეობის მხეცური აწიოკებისათვის, მასობრივი მკვლელობების, მძევლების დახოცვისა და სხვა ბოროტმოქმედებებისათვის! ნუთუ მან ახლაც ვერ შეიგნო, რომ გერმანელი ხალხი იტანჯებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ფაშისტური გერმანიის მმართველებმა, მათ შორის თვითონ კეიტელმაც, გააჩაღეს ეს არაადამიანური ხოცვა-ულეტა? მან ხომ კარგად იცის, რომ არა ორი მილიონი, არამედ გაცილებით უფრო მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაეცა

# ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაში და რუსეთის ველებზე; ისინი დაიღუპნენ არა სამშობლოსათვის, არამედ იმიტომ, რომ ჰიტლერმა და მისმა ხროვამ გაგზავნეს მსოფლიოს დასაპყრობად. სწორედ კეიტელის ბრალია, რომ მილიონობით დედა და ცოლი დასტირის ახლა თავიანთ ახლობლებს...

ორის ოცდაჩვიდმეტ წუთზე შემოჰყავთ კალტენბრუნერი. ეს ჯალათი ჰიტლერის მარჯვენა ხელი იყო. თვალებს აცეცებს, ხელები ვეება აქვს, ჯალათის ხელები. ეს ფაშისტი, რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აქვს, იყო „ესეს"-ის ორგანიზატორი ავსტრიაში, შემდეგ კი უშიშროების პოლიციისა და „სდ"-ს უფროსი. პოლიციის გენერალი კალტენბრუნერი ჰიტლერელ მკვლელებს შორის ყველაზე უფრო მოხერხებული და გაწაფული მკვლელია. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა ადამიანების სიკვდილით დასჯა რასობრივი ან პოლიტიკური მოტივით. მისი განკარგულებით სპობდნენ ყველას, ვინც კი საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაიქცეოდა ან დააპირებდა გაქცევას. ძნელია ყველა იმ ბოროტმოქმედების ჩამოთვლა, რაც ამ ჯალათს მიუძღვის. როცა დადგა დანაშაულისათვის პასუხისგების ჟამი, იგი დიდხანს ეწეოდა სიმულაციას, თავს ივადმყოფებდა, ცდილობდა დასძრომოდა მართლმსაჯულებას. იგი უკანასკნელ სიტყვაშიც კი ლამობდა გაემართლებინა თავისი მოქმედება, რომ თითქოს სხვის ბრძანებებს ასრულებდა.

კალტენბრუნერი მუდარით სავსე მზერას ესვრის მღვდელს. მღვდელი ლოცვას კითხულობს, კალტენბრუნერი თვალებდაცეცებული იყურება ირგვლივ. ჯალათი მას თავზე შავ ჩაჩს აცმევს...

კარებში ალფრედ როზენბერგია, საშინელი „რასობრივი თეორიის" ავტორი. იგი გაჭირვებით, ძლივსგასაგონად წარმოთქვამს თავის სახელსა და გვარს. სახრჩობელის ქვეშ თარჯიმანი წინადადებას აძლევს თქვას თავისი უკანასკნელი სიტყვა. როზენბერგი უარის ნიშნად თავს აქნევს. ძლივს ატოკებს ტუჩებს და თითქმის ჩურჩულით ამბობს: „არა..." ლაყბობის მოყვარულსა და დემაგოგს, რომლის სინდისზეც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილია, სახრჩობელის დანახვაზე ენა ჩაუვარდა მუცელში.



## დანაშაული და სასჯელი

1938 წელი. გერინგი მიუნხენში.



1946 წელი. გერინგი ნიურნბერგში.

როზენბერგი მუდარით შესცქერის მღვდელს. ჯალათი აცმევს ჩაჩს, ექიმები ადასტურებენ სიკვდილს.

ყოველი დასჯის შემდეგ ერთი-მეორის მიყოლებით ცვლიან თოკს სახრჩობელებზე.

ორს ოთხი წუთი უკლია. შემოჰყავთ ჰანს ფრანკი, ნაცისტების მთავარი იურისტი, ჰიმლერის მრჩეველი, მის საშინელ დანაშაულობათა თანამონაწილე. მან განიზრახა მთელი პოლონელი ხალხის მოსპობა და გეგმაზომიერად შეუდგა ამ განზრახვის შესრულებას.



აი, ვინ მოიყვანა განაჩენი სისრულეში. ამერიკელი სერჟანტი ჯონ ვუდი.

ახლა, როცა მის თავზე ამართულია მართლმსაჯულების მახვილი, იგი მასხარასავით იქცევა: იღიმება, თავს გვიკრავს, მღვდლისაკენ იხრება და ხმადაბლა ეუბნება სიტყვებს, რომლებიც ასეთი ავაზაკის პირიდან ისმის, როგორც მკრეხელობა:

— ღმერთს ვთხოვ შემიფაროს თავის წმინდა კალთის ქვეშ...

შემდეგი ვილჰელმ ფრიკია. იგი იყო მესამე რაიხის შინაგან საქმეთა მინისტრი. მისი გამგებლობის ქვეშ იყო საკონცენტრაციო ბანაკები. იგი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც ამ ბანაკებში ხდებოდა.

ფრიკი შიშით სავსე, შეშლილის თვალებით შესცქერის სახრჩობელას. იგი ეშაფოტის პირველსავე საფეხურზე ჩერდება. მას ხელს ჰკიდებენ და ისე მიჰყავთ ყულფთან.

შემოდის იულიუს შტრეიხერი. ეს პირწავარდნილი ფაშისტი და რასისტი-ანტისემიტია. იგი რყვნიდა გერმანელებს, წამლავდა მათ გონებას არაარიელებისადმი სიძულვილით, მოითხოვდა „დაბალი რასის" ადამიანების დევნას, მათ მოსპობას. შტრეიხერი სწრაფად, ხტუნვა-ხტუნვით მირბის ეშაფოტის საფეხურებთან და ისტერიულად ყვირის:

— ჰაილ ჰიტლერ!

თარჯიმანი ეკითხება გვარსა და სახელს.

— თქვენ ეს იცით!.. — ყვირის შტრეიხერი.

მაგრამ ეს აუცილებელი ფორმალობაა და მას კვლავ ეკითხებიან.

— თქვენი სახელი?

შტრეიხერი ისევ ყვირის:

— თქვენ ეს იცით!...

მხოლოდ მესამე შეკითხვაზე, წამოიყვირა:

— იულიუს შტრეიხერი.

ეშაფოტზე იგი ისტერიულად გაიძახის:

— ახლა მე მივმართავ ღმერთს...

მერე ყველა იქ დამსწრეთ მძულვარებით სავსე თვალებით შემოგვცქერის, ამერიკელებისკენ ბრუნდება, ჩვენზე, რუსებზე უჩვენებს და ყვირის:

— ბოლშევიკები თქვენ ოდესმე ჩამოგახრჩობენ!

როცა მას თავზე ჩაჩი ჩამოაცვეს, იქიდან ბლავილი გაისმა.

შემდეგ, რიგ-რიგობით შემოჰყავთ ზაუკელი, იოდლი, ზეის-ინკვარტი... ყველა მათგანს მიეზღო, რაც დაიმსახურა.

ღამის 2 საათი, 46 წუთი და 30 წამია. ყველაფერი დამთავრდა. ორ ამერიკელ ჯარისკაცს საკაცით შემოაქვთ შავი საბნით დაფარული გერინგის გვამი. გვამს საბანს ხდიან, რათა იგი კორესპონდენტებს დაანახონ, და უერთებენ სიკვდილით დასჯილთა გვამებს.

მაშ ასე, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი მთავარი სამხედრო დამნაშავეების საქმეზე — შესრულებულია. ჩვენ გამოვდივართ ციხის ბაღში და შვებით ვისუნთქავთ ღამის გრილ ჰაერს.

ჩვენ ყველა, ოცდახუთი კაცი, რომლებიც ვესწრებოდით მათ დასჯას, სხვადასხვა რანგის, ასაკის, ეროვნებისა და შეხედულების ადამიანები, ამ წუთებში ვფიქრობთ ერთნაირად: სამხედრო დამნაშავეები უნდა დაისაჯონ მკაცრად და შეუბრალებლად, უნდა დაისაჯონ შემდგომშიც.




# ასე ინება ქალღმერთმა...

**გურამ ფანჯიკიძე**

ფინალური მატჩის წინ ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მიგვიწვია სტუმრად. ამ საზოგადოებას განაგებს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეტლი. მეტად გულთბილი შეხვედრის დასასრულს ამ საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა მოგვმართა: მართალია, თქვენმა ნაკრებმა წააგო გერმანელებთან, მაგრამ სამაგიეროს ჩვენ გადავუხდითო.

ჩვენც ჩვენი მხრივ ალვუთქვით, რომ მხარში ამოვუდგებოდით ინგლისის ნაკრებს.

მართლაც, სტუმარ-მასპინძლობის წესებიც რომ არა, უბრალოდ, გვაინტერესებდა ინგლისელთა გამარჯვებას რა ტრადიციული ცერემონიალი მოჰყვებოდა. ინგლისი ხომ ასეა განთქმული თავისი ტრადიციებით.

ამ თაყვანისცემას ტრადიციისადმი იგრძნობთ ყველგან, ქალაქსა თუ სოფელში, ეკლესიაში თუ რესტორანში, უბრალო კოლეჯსა თუ კემბრიჯის უნივერსიტეტში. ამ ტრადიციების გამო უყვარს ე. წ. „საშუალო ინგლისელს" თავისი დედოფალი, რომელიც, ფაქტიურად, არავითარ როლს არ ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში; იგი არ მოგიწონებთ დედოფლის აუგად ხსენებას. პრემიერ-მინისტრი ვილსონი კი რამდენიც გნებავთ, იმდენი ლანძღეთ. ისინი სიამოვნებით მხარსაც კი აგიბავენ.

ლონდონის ქუჩებში დაჰქრიან ექსტრავაგანტური ლიმუზინები, შეხვდებით უკანასკნელი მოდის ამერიკულ მანქანებსაც, თუმცა ისინი არც ისე მოსახერხებელია ინგლისისათვის. მთელს დიდ ბრიტანეთში მოძრაობა მარცხენა მხარეს სწარმოებს და მანქანის საჭე, ჩვენგან განსხვავებით, საწინააღმდეგო მხარეს არის მოქცეული. ახლა ლონდონში ყველაზე უფრო მოსწონთ ინგლისური წარმოშობის ორადგილიანი სპორტული მანქანა „იაგუარი". ამ ულტრათანამედროვე მანქანის გვერდით კი ნახავთ ძველებურ, ტრადიციულ „როილ-როისებს". იგი განსაკუთრებით უყვართ ხანში შესულ არისტოკრატებს და მილიონერებს.

მართალი გითხრათ, დღესაც არ მესმის რა მოსწონთ ამ უზარმაზარი და უშნო შესახედავი მანქანისა. იგი გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ამერიკული „ლინკოლნი", ან „კონტინენტალი". მაგრამ „როილ-როისი" ხომ სუფთა ინგლისური მოვლენაა, ე. ი. უკვე ტრადიციულია. ტრადიციას კი ინგლისელები თვალისჩინივით უფრთხილდებიან. სკოლებში მასწავლებლებს მანტიები აქვთ მოსხმული. კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლა და წირვა-ლოცვა ისეთივე ცერემონიალით მიმდინარეობს, როგორც რამდენიმე საუკუნის წინათ ხდებოდა. უნივერსიტეტის სასადილოში ვერც ერთი სტუდენტი ვერ აიღებს ლუკმას, სანამ არ წარმოსთქვამს საგანგებო ლოცვას.

ვესტმინსტერის სააბატოსა და ინგლისის ყველა ცნობილ ეკლესიას კვლავაც ამშვენებს ინგლისელი ლორდების საგვარეულო ღერბებით დამშვენებული დროშები, ბუკინგამისა და უინძორის სასახლის დამცველი რაზმი ისევ ისეა ჩაცმული, როგორც მრავალი საუკუნის წინათ. წითელი მუნდირები, მაღალი ბეწვის ქუდები, საზეიმო, ტრადიციული ცერემონიალი ყარაულის შეცვლის დროს. თუმცა... არც ისე დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ შენიშნოთ ამ ტრადიციაში შეპარული სიახლე — უკანასკნელი მარკის ნახევრადავტომატური კარაბინები.

რას იზამ, ცხოვრება თავისას ითხოვს. თვით ინგლისურმა ეკლესიებმაც კი მოახდინეს ტრადიციების მოდერნიზაცია. არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვით აშენებულ ეკლესიებში, აგრეთვე ბევრ ძველ ცნობილ ეკლესიაშიც მოწყობილ ყავახანებში შეიძლება დალიოთ თურქული ყავა. ეკლესიას აქვს საკუთარი კალათბურთის მოედნები, ტენისის კორტები, კროკეტისა და გოლფის სათამაშო მინდვრები, საცეკვაო დარბაზები, სადაც შეგიძლიათ იცეკვოთ ყველაზე თანამედროვე ცეკვები. ეს თურმე როდი გაანაწყენებს მამაზეციერს. პირიქით...

ახლა ლონდონში და მთელს ინგლისში ძალიან მოდაში არიან მოტოციკლეტისტი ბიჭები, რომლებსაც „როკერებს" ეძახიან. „როკერს" ტყავის შარვალი და კოვბოურა აცვია. შარვალი უხეშ ჩექმებში აქვს დატანებული. თავზე რკინის მუზარადი ახურავს და უზარმაზარი, ქარსაწინააღმდეგო სათვალე უკეთია. ასეთი ალჭურვილობა უხდებათ კიდეც ახოვან ინგლისელ ჭაბუკებს. „როკერის" წოდებას კი მოპოვება სჭირდება. ამ წოდების მოსურნემ მოტოციკლეტი უნდა მართოს 150 კილომეტრის სისწრაფით, წინასწარ შერჩეულ გზაზე. მხოლოდ ამის მერე მიანიჭებენ მას „როკერის" წოდებას. და იცით, ვინ აწყობს ამ შეჯიბრებებს და ახალგაზრდებს ვინ ანიჭებს ამ წოდებას? ისევ მღვდლები. მეტი რა გამოსავალი აქვთ, თვით მღვდლებიც კი ხდებიან იძულებული დაარღვიონ ტრადიცია, რადგან ეშინიათ არ დაკარგონ მრევლი.

ყოველი საფეხბურთო მატჩის წინ მოედანზე გამოდის ორკესტრი. ყველას ფერადი მუნდირი აცვია. ბარაბანზე დამკვრელთ კი, გარდა ამ ფერადი მუნდირებისა, ვეფხვისა და ჯიქის ტყავებიც ამშვენებთ. იწყება ტრადიციული მარშები, ორკესტრი ყველა მიმართულებით სერავს მოედანს, ისინი იშლებიან, იყოფიან, მერე ისევ ერთდებიან და უფრო პატარა ჯგუფებად იყოფიან; მოედანზე მწკრივები ჯვარედინად განლაგდებიან და ბოლოს ისევ ერთდებიან. იწყება ნელი სვლის ცერემონიალი. ხელმძღვანელს ხელში ვერცხლისთავიანი დიდი სკიპტრა უჭირავს, ასეთი ორკესტრების ნახვა ყველა ქალაქის სტადიონზე შეიძლება ფეხბურთის მატჩის წინ. ეს საფეხბურთო ორთაბრძოლის ტრადიციულად განუყოფელი ნაწილია. მიდლსბროში გვეუბნებოდნენ, ჩვენი ორკესტრი ყველაზე კარგი ორკესტრიაო ინგლისში. მართლაც შესანიშნავი ორკესტრი იყო, მაგრამ როცა „უემბლიზე" სამეფო-საზღვაო ორკესტრი გამოვიდა, მართლაც დიდებული სანახაობის მოწმენი გავხდით.

როდესაც ინგლისელებმა გადამწყვეტი მატჩი მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს, არავითარი განსაკუთრებული ცერემონიალი არ გვინახავს. თუმცა... ეს არც იყო გასაკვირი, ინგლისელები ხომ პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონი, მათ ხომ მანამდე არ გააჩნდათ ამის ტრადიცია.

არ შეიძლება ილაპარაკო ამხელა საფეხბურთო ჩემპიონატზე და არ ახსენო ამ დიდებული ასპარეზობის ორგანული და განუყოფელი ნაწილი — გულშემატკივრები.

ვის არ ნახავდით ინგლისში! აქ იყვნენ იტალიელი „ტიფოზები", ესპანელი „აფისონადორები", ბრაზილიელი „ტორსედორები"... თავდაპირველად ყველაზე მეტნი იტალიიდან და ბრაზილიიდან ჩამოვიდნენ. სანდერლენდში ხუთი ათასი იტალიელი დაბანაკდა. თანდათანობით იმატა გერმანელთა რიცხვმა და ფინალურ მატჩზე „უემბლის" ტრიბუნებზე 15 ათასი გერმანელი იჯდა.

უცხო სტადიონზე გულშემატკივარი ძალიან ბევრს ნიშნავს. როცა ჩვენი ფეხბურთელები სანდერლენდიდან ლივერპულში გადაფრინდნენ გფრ-ის ნაკრებთან შესახვედრად, იმ დღეს ჩვენ ლონდონში გავემგზავრეთ. ჩვენი სპორტსმენები აშკარად გამოხატავდნენ შეშფოთებას, რომ ლივერპულში მათ ძველებურად ველარ გაამხნევებდა საბჭოთა გულშემატკივრების შეძახილები.

იტალიელთა მწვრთნელ ფაბრის უზარმაზარი იმედი ჰქონდა იტალიელი „ტიფოზებისა". ხუთი ათასი ექსპანსიური იტალიელი ხუმრობა არ გეგონოთო, — ამბობდა იგი, — თავს ისე ვიგრძნობთ, თითქოს მშობლიურ იტალიაში ვთამაშობთო.

სამწუხაროდ, ეტყობა, ფაბრი მარტო იტალიელი „ტიფოზების" იმედით იყო ჩამოსული. „ტიფოზებმა" გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. ამას ვერ ვიტყვით „სკუადრა აძურაზე", რომელიც ასე სამარცხვინოდ გამოეთიშა ჩემპიონატს.

იტალიელები ქუჩებში აწყობდნენ დემონსტრაციებს, გაჰყვიროდნენ „ფორცა იტალია" (წინ, იტალია), რეკავდნენ ხელის ზარებს, აღრიალებდნენ რაღაც უცნაურ საყვირებს, რომლებიც დაპრესილი ჰაერის ბალონებზე იყო შეერთებული. მათ მანქანებს ამშვენებდა ეროვნული დროშები, ხოლო ქალიშვილებს ეცვათ საგანგებოდ შეკერილი კაბები, რომლებიც მათი დროშის ფერებისაგან შესდგებოდა. შეძახილების რიტმიც ისეთი მუსიკალური ჰქონდათ, იტალიელებს რომ შეჰფეროდათ.

სპორტულ პრესაში ხშირად წერენ ექსპანსიურ, ტემპერამენტიან სამხრეთელ გულშემატკივრებზე. ეს ასეცაა, მაგრამ რაც არ უნდა გასაოცრად მოგვეჩვენოს, მე მაინც მიმაჩნია, რომ ჩრდილოეთელი გულშემატკივრები გაცილებით უფრო ენერგიულნი და „ბრძოლისუნარიანი" არიან.

ამაში ჯერ კიდევ შვეციაში დავრწმუნდი, „როსუნდას" სახელგანთქმულ სტადიონზე. ყოველი ტრიბუნის წინ იდგა „დირიჟორი". იგი დროშით ხელმძღვანელობდა ტრიბუნებს. გულშემატკივრები ერთხმად ამბობდნენ ფეხბურთელების გასამხნევებლად საგანგებოდ შეთხზულ ლექსს, რასაც მოაყოლებდნენ ხოლმე თავიანთ ცნობილ „ჰეია, ჰეია, ჰეიას". ტრიბუნა ტრიბუნას ენაცვლებოდა და ასე შეუნელებლად ყვიროდნენ ისინი მთელი მატჩის განმავლობაში.

ინგლისელებმა, როგორც იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. მუსიკალურად საკმაოდ რთულ რიტმზე ისინი გაჰყვიროდნენ „ინგლანდ!" თითქმის ყველა მათგანს ხელში დიდი ბრიტანეთის დროშა ეჭირა. მათ არც გერმანელები ჩამორჩებოდნენ. ყვირილი დაიწყო ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე. შეძახილები თანდათან უფრო ძლიერდებოდა. შიგადაშიგ სიმღერა ენაცვლებოდა. ინგლისელები მღეროდნენ ამერიკელი ზანგების მელოდიას „როცა სულები შედიან სამოთხეში". მთელი სტადიონი ამ სიმღერას რაღაც ფანატიკური გატაცებით ასრულებდა; მერე ერთი ვილაც ისევ იწყებ-



იტალიელი ტიფოზები. ფოტო მიხეილ ზარგარიანისა.

და ცნობილ რიტმს ბარაბანზე, ისევ ისმოდა ტაშის რიტმული ქუხილი და ომახიანი „ინგლანდ!"

იტალიელი გულშემატკივრები ტიპიური სამხრეთული ხასიათის გულშემატკივრები არიან. ისინი მხოლოდ მაშინ ამხნევებენ თავის გუნდს, როცა იგი კარგად თამაშობს, მხოლოდ მაშინ იფეთქებენ წუთიერად, როცა მათი სათაყვანო ფეხბურთელები უტევენ. პირველსავე მარცხზე ჩუმდებიან და ყურებს ჩამოჰყრიან ხოლმე.

„ინგლისელებს უფრო შესძლებიათ თავისი გუნდის მხარდაჭერა-მეთქი", — ვუთხარი ჩემს თარჯიმანს მისტერ დევისს.

მან გაიცინა და მითხრა, — აბა გლაზგოში, „ჰემპდენის" სტადიონზე დაესწარით თამაშს, ეს ყვირილი შოტლანდიელების ღრიალთან შედარებით მოცარტის ნანა გეგონებაო.

შოტლანდიელი გულშემატკივრები ძირითადად ორ ნაწილად იყოფიან — კათოლიკებად და პროტესტანტებად. ყველაზე დიდი სეირი თურმე მაშინ იმართება, როცა ერთმანეთს მათი სათაყვანებელი გუნდები ხვდებიან. სტადიონზე ბილეთებს პროტესტანტებისათვის ცალკე ჰყიდიან, კათოლიკებისათვის — ცალკე. მაგრამ ცემა-ტყეპის გარეშე მაინც არც ერთი თამაში არ ჩაივლის. ტრიბუნებზე დაწყებული ჩხუბი ქუჩებშიც გრძელდება და არც ტრამვაებისა და მატარებლების გადაბრუნება ყოფილა უჩვეულო ამბავი.

არ შეიძლება ილაპარაკო ინგლისურ ფეხბურთზე და ორიოდე სიტყვით არ დაახასიათო მათი სტადიონები. ინგლისში ძირითადად ოთხკუთხედი სტადიონებია. გამონაკლისს „უემბლი" და კიდევ ერთიორი სტადიონი წარმოადგენს. თუმცა ყველა სტადიონს აქვს ერთი საერთო ნიშანი. ისინი მხოლოდ საფეხბურთო მოედნებია. ჩვენ საშუალება მოგვეცეს გადავსულიყავით „უემბლიზე" და საკუთარ ფეხებს ქვეშ გვეგრძნო მსოფლიოში საუკეთესო საფეხბურთო მინდორი. როცა „უემბლის" ზემოდან დახედავთ, მწვანე საჭადრაკო დაფა გეგონებათ. ბალახი ისეა დავარცხნილი, რომ სტადიონი კვადრატებად დაყოფილი გეგონებათ. ეს მარტო სილამაზისთვის როდია, მაყურებელს უადვილდება ზუსტად განსაზღვროს ფეხბურთელის მოძრაობის სისწრაფე თუ ცალკეული ოპერაციების ჩატარების მანძილი; მოედნის ზედაპირი დაუჯერებლად სწორია, თითქმის იდეალურია. ეს მით უფრო გასაკვირი, რომ ინგლისში წვიმა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია. ასეთი მინდვრის შენარჩუნება კი კოლოსალურ შრომასა და საქმის ფანატიკურ სიყვარულს მოითხოვს.

და აი, ჩვენ ვეთხოვებით მსოფლიოს უძველეს და ულამაზეს სტადიონს. თვალს უკანასკნელად ვავლებთ მინდორს, სადაც სულ რაღაც ნახევარი საათის წინ დაიბადა ახალი მსოფლიო ჩემპიონი.

მანქანების უზარმაზარი კოლონები ნელა მიიზლაზნებიან ქალაქის ცენტრისაკენ. მთელი ლონდონი ზეიმობს გამარჯვებას.

და აი, ტრაფალგარსკვერთან გამოჩნდა გერმანელ გულშემატკივართა უზარმაზარი ავტოკოლონა. ყველა მანქანაზე ფრიალებს მათი ეროვნული დროშა. მეწინავე მანქანას ამშვენებს წარწერა: „ინგლისი ღირსეული ჩემპიონია".

ლონდონელები კითხულობდნენ ამ წარწერას. ბევრ მათგანს კარგად ახსოვდა 1938 წელი, როცა ბერლინში გერმანელებმა ინგლისის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები პირდაპირ აიძულეს გერმანიის ჰიმნზე გაჭიმულიყვნენ.

ინგლისელებს ახლაც თვალწინა აქვთ გერმანელების ბომბით ჩამონგრეული პარლამენტის თაღი, რომელიც ჩერჩილის წინადადებით დატოვეს მეორე მსოფლიო ომის მოსაგონარად.

ინგლისელებს ეს ყველაფერი კარგად ახსოვდათ, მაგრამ გერმანელები მაინც ტაშით გააცილეს. მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ ისინი მასპინძლები იყვნენ, რომ ისინი გამარჯვებულები იყვნენ, რომ ისინი... ინგლისელები იყვნენ.

ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთის ქალღმერთმა სამშობლოში დაბრუნება ინება.

## ქამელეონი

აი, ჩვენი თედო,
კაცი საიმედო!
არცთუ ახალგაზრდა,
უკვე ორმოცს გასცდა,
სამსახურში მოდის.
როდის შევა, როდის!
ამ ჩვენს თედოს გუშინ
უჩურჩულეს ყურში:
— დირექტორი მოსე,
გაიგე, რომ მოხსნეს?
გამოაღო კარი,
როგორც ცივი ქარი,
შემოიჭრა თედო:
— როგორ გაგიბედო...
მართალია, რომ თქვეს?
— კი, ბატონო, მომხსნეს!
— ვაი ჩვენი ბრალი,
ცრემლით მეწვის თვალი,
რა გასძლებს უთქვენოდ
ტკბილო მამავ, ჩვენო?
— აბა რა ვთქვა, თედო,
კაცო, საიმედო!
— თითქოს მჩხვლეტენ ნემსით,
ნაწყენი ვარ მეტად,
თქვენზე უკეთესი
აქ ვინ მოვა, ნეტავ?!
თქვა და აზლუქუნდა,
უკან გამობრუნდა...
მესამე დღეს კართან
თედო ალიმართა.
ჩქარა მიდი-მოდის,
როდის შევა, როდის!
თედო ახლა „ახალს"
შევა, და თვით ნახავს.
გამოაღო კარი,
როგორც ცივი ქარი
შიგ შეიჭრა ჩქარა,
წელში მოიხარა
და მიმართა უფროსს.
— ვფიცავ, ჩემზე უფრო
თქვენი მოსვლა, ვახტანგ,
არვის გაეხარდა?!
როგორ მძულდა ძველი —
ველარ გავუძელი,
მოგვკლა კაცი, ქალი,
გაქრეს მისი კვალი.
არვინ არ დაგვინდო,
პანღური ჰკრეს ჯილდოდ.
თქვენ კი გენაცვალეთ,
რომ მობრძანდით მალე!

ასე ამბობს თედო,
კაცი საიმედო!

ა. გოგიაშვილი



# სად რა მოხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



### სამსახურიდან დათხოვნილი ქალები

მთელ მსოფლიოში, შვეცია ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობას ქალები აწესრიგებენ.

პარიზის პოლიციის პრეფექტმა ამ ამბის გამო აღნიშნა:

— მე არ ვიცი, როგორ ახერხებენ ამას შვედი ქალები, მაგრამ ჩვენ, ფრანგები, უკვე დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქალები ამ სამუშაოზე არ გამოდგებიან. ამას მწარე გამოცდილება მალაპარაკებს. საქმე იმაშია, რომ პარიზში ადრე ამ საქმეში ჩვენც ჩავაბით ქალები, მაგრამ მალე იძულებული გავხდით ისინი სამუშაოდან დაგვეთხოვა. და იცით რატომ? მარტო ერთ მაგალითს მოგახსენებთ: საგუშაგოზე მდგომ ქალს, რომელიც მოძრაობას აწესრიგებდა, ისე მოეწონა მანქანის საჭესთან მჯდომი მანდილოსანის შლიაპა, რომ ჩართო წითელი შუქი, მთელი მოძრაობა გააჩერა და დაჟინებით დააშტერდა შოფრის მოდურ თავსამკაულს. მოძრაობის შეჩერებამ კი უკმაყოფილება და აურზაური გამოიწვია...

იტალიის პოლიციაც, მართალია სულ სხვა მიზეზით, მაგრამ მაინც იძულებული გახდა სამუშაოდან დაეთხოვა ერთადერთი ქალი, რომელიც ქუჩაში მოძრაობას აწესრიგებდა. ეს ქალი თურმე ისე ლამაზი იყო, რომ მის გარშემო წამდაუწუმ ჩერდებოდნენ მანქანები. გამოღებულ ფანჯრებში თავგამოყოფილი შოფრები თურმე თვალს ვერ აცილებდნენ თეთრ მუნდირში გამოწყობილ ეშხიან პოლიციელ ქალს.

### ჩაშლილი სენსაცია

კანადელმა ჟოზეფ პაპმა დაიტრაბახა, რომ მან მარტოდმარტომ აავო თანამედროვე ტიპის წყალქვეშა ნავი, რომლითაც გადაწყვეტილი აქვს საათში 500 კილომეტრის სიჩქარით გადასცუროს ატლანტის ოკეანე.

ჟოზეფი დიდი ამბით გააცილეს შინიდან. ორი დღის შემდეგ იგი საფრანგეთის სანაპიროსთან იპოვეს... რეზინის ნავში.

—ძლივს ამოვაღწიე იმ უფსკრულიდან! — ჟოზეფმა ხელი ოკეანეს სიღრმისაკენ გაიშვირა, — ჩემი მოგზაურობა ჩაიშალა, რადგან ინგლისის სანაპიროსთან ჩემი წყალქვეშა ნავი დაიმსხვრა.

ეს იყო ნამდვილი სენსაცია. ჟურნალისტებმა კალმები მოიმარჯვეს, რომ მთელი ხმაური აეტეხათ ამ უმაგალითო მოგზაურობის გამო, მაგრამ სიყალბეს მალე ფარდა აეხადა, მეორე დღეს, ბრესტის საავადმყოფოში, სადაც ჟოზეფი სამკურნალოდ მიიყვანეს, მოწყალების დამ მოგზაურს ჯიბეში უპოვნა თვითმფრინავის ბილეთი... მონრეალ-ამსტერდამი და რკინიგზის სამგზავრო ბილეთი ამსტერდამიდან ბრესტამდე.



### რამდენს „იწონის“ ბურთზე დარტყმა

როცა სპორტსმენი წამში ათი მეტრის სისწრაფით გარბის, მიწაზე მისი ფეხის დარტყმის ძალა აღწევს 350 კილოგრამს. დარტყმის კიდევ უფრო დიდი ძალა წარმოიქმნება სიგრძეზე ხტომის დროს; ასე მაგალითად, ცნობილი საბჭოთა სპორტსმენის ტერ-ოვანესიანის ნახტომის დროს ეს ძალა 900 კილოგრამს აღწევს.

განსაკუთრებით დიდ ძალას შეიცავს მოკრივეების, განსაკუთრებით მძიმე წონის მოკრივეების დარტყმა. ამ ძალის გაზომვა ზუსტად შეიძლება სპეციალური მოწყობილობის — დინამომეტრის საშუალებით. ცნობილი ამერიკელი მოკრივის ფულმერის მარჯვენა ხელით შესრულებული დარტყმა 504 კილოგრამს „იწონის“, ხელის მოძრაობის სიჩქარე კი ასეთ დროს წამში 13,6 მეტრს აღწევს.

რამდენს „იწონის“ ბურთზე ფეხბურთელის დარტყმა? ორი წლის წინ, როცა საბჭოთა კავშირში ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ, სპეციალისტებმა გადაწყვიტეს დინამომეტრის საშუალებით გაეზომათ გარინჩას დარტყმის ძალა. დინამომეტრის ისარი 750 კილოგრამზე ავარდა. მაგრამ არც ეს არის საზღვარი. არიან ფეხბურთელები, რომელთა დარტყმის ძალა 1200 კილოგრამს აღწევს.



### მას რომ სცოდნოდა!

წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონი დროს მოსაკლავად ხშირად ეთამაშებოდა ჭადრაკს ამ კუნძულის კომენდანტს. ყოფილ იმპერატორს ძალიან უყვარდა თამაში სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ჭადრაკის ფიგურებით, რომლებიც მას მეგობრებმა გამოუგზავნეს პარიზიდან.

ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ამ ჭადრაკში იმალებოდა დიდი საიდუმლო, რომლის შესახებ ნაპოლეონმა არაფერი იცოდა. თურმე ფიგურებში ჩადებული იყო კუნძულიდან გაქცევის გეგმა; ოფიცერი, რომელსაც ნაპოლეონისათვის უნდა გადაეცა ეს ჭადრაკი და საიდუმლო გაენდო, მოულოდნელად გარდაიცვალა გზაში; პარიზელი მეგობრებისაგან გამოგზავნილი საჩუქარი ბონაპარტეს სხვა პირმა გადასცა. მან საიდუმლო გეგმის თაობაზე სულ არაფერი არ იცოდა.



### სახელმძღვანელო გინებების შესასწავლად

ინგლისელმა გამომცემელმა პიტერ უოლფმა უცხოეთში მიმავალი ტურისტებისათვის გამოაქვეყნა „ყოველდღიური სახელმძღვანელო ცნობარი“. ამ წიგნის სათაურია „როგორ შევიგინოთ ხუთ ენაზე“. წიგნი მოიცავს 127 გვერდს. იგი გამოცემულია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. ზემოხსენებულ წიგნში თავმოყრილია ყველა მწარე და უხეში სიტყვა, რომლითაც ტურისტმა შეიძლება მიმართოს ოფიციანტს, ტაქსის შოფერს, პარიკმახერს, ბანკის მოხელეს, ვაჭარსა თუ პოლიციელს, როცა ისინი მას გააბრაზებენ.

ვთქვათ, ტურისტს არ მოეწონა სასტუმრო, ჩაიხედავს ცნობარში და უმალ მონახავს ფრაზას: „რა არის ეს — სასტუმრო თუ საგიჟეთი?“ ოფიციანტისთვის გამიზნულია ფრაზა: „მე თქვენ გთხოვეთ მოგეტანათ ანგარიში და არა თქვენი ქვეყნის ნაციონალური ბიუჯეტი“, „მითხარით ეს ერბო-კვერცხი პტეროდაქტილის კვერცხებისაგან ხომ არ გააკეთე?“

კრებულის მეორე ნაწილი შეიცავს 50 მაგარ გინებას, რომლებმაც ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „უმალ უნდა გაანადგუროს მოპირისპირე“.

პიტერ უოლფის წიგნზე დიდი მოთხოვნილებაა: ინგლისში უკვე გაიყიდა 50 ათასი ეგზემპლარი, სასწრაფოდ მზადდება ამერიკული გამოცემა.



### აჟანი და პარიზელი მზეთუნახავი

ჟაკ ესტერელი — ასე ჰქვიან ახალი ფრანგული მოდების კანონმდებელს. ბოლო ხანებში ამ კანონმდებელმა ქალთა კაბები დაამოკლა ისე, როგორც ამ სურათზე ხედავთ. ერთი პარიზელი ლამაზი ქალი უმალ გამოეწყო ამ ულტრამოკლე კაბაში და ქუჩაში გამოვიდა სასეირნოდ, მორიგე აჟანმა დაინახა თუ არა, უმალ სასტვენი მოიმარჯვა, მზეთუნახავი დააპატიმრა და პოლიციაში წაიყვანა.

გარეკანის პირველ გვერდზე: მოგილოცავთ ახალ წელს! ფოტო ე. პესოვისა; მეოთხე გვერდზე: საბაგირო გზა კუს ტბაზე. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-66 წ. გამომც. № 229, ქაღ. ზომა $70 \times 108^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 4008, უე 03382

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის — **ნანა ალექსანდრია.**

ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა